ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

რომ ჩაერთოს ჰიპერმწვავე ინსულტის კლინიკური მენეჯმენტის გზაში, რაც გულისხმობს ასეთი პაციენტების კლინიკაში მომართვისთანავე დაუყოვნებელ შეფასებას, სასწრაფო ნეიროვიზუალიზაციას, ჰემორაგიის გამოსარიცხად, რათა იშემიური ინსულტის შემთხვევაში საჭიროების და ჩვენების მიხედვით ჩატარდეს თრომბოლიზი, ინტრაცერებრული ჰემორაგიის მქონე პაციენტებს (მათ ვისაც რადიოლოგიურად დაუდასტურდება ჰემორაგია) კი შესაძლოა შევთავაზოთ TICH-3 მონაწილეობა, თანხმობის შემთხვევაში კი ადმინისტრირებული იქნება ტრანექსამის მჟავა, ხოლო წერილობითი ფორმა დასაშვებია მოგვიანებით იქნას შევსებული. შესაბამისად საკვლევი სამედიცინო პროდუქტი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ადმინისტრირებისთვის დაუყოვნებლივ, იცვს კონფირმაციისთანავე, იმ შემთხვევაში, თუ IMP გახსნილია, მაგრამ იცვ არ დადასტურდა, ასეთი მედიკამენტი განადგურებას ექვემდებარება, ლოკალური პროცედურების მიხედვით. შესაბამისად, ისევე როგორც თრომბოლიზის შემთხვევაში, საჭიროა IMP რადიოლოგიურ დეპარტამენტში იქონიოთ, როგორც ეწ „თრომბოლიზის სეთი“ ან „ინსულტის ჩანთა“ IMP-ს შეფუთვაზე გარკვევითაა მითითებული რომ ის განკუთვნილია მხოლოდ კლინიკური კვლევისთვის. დანარჩენი წამლები ინახება დაცულ ოთახში, სადაც შეზღუდულია უცხო პირთა წვდომა.

მკვლევარს და ლოკალური საიტის ფარმაცევტსევალება აწარმოოს და შეინახოს შემდეგი ჩანაწერები: პრეპარატის მიღება ფარმაციაში, ინვენტარიზაცია საიტზე, პრეპარატის გაცემა მონაწილეზე, პრეპარატის დაბრუნება ფარმაციაში ან გამოუყენებელი პრეპარატების ალტერნატიული დისპოზიცია, ჩანაწერები უნდა მოიცავდეს: თარიღს, რაოდენობას, პარტიის batch სერიულ ნომერს, ვადას, და უნიკალურ კოდს (პაციენტის კვლევის ნომერი) მინიჭებულს კვლევის მონაწილისთვის. მკვლევარი და/ან ლოკალური ფარმაცევტი აწარმოებენ ჩანაწერებს, რაც ადასტურებს რომ თითოეულმა მონაწილემ მიიღო სწორი/შესაბამისი მედიკამენტი, ეს ჩანაწერი არის პაციენტის შემთხვევათა მოხსენების ფორმის (CRF) ნაწილი. ფარმაციაში მიღებული კვლევის ყველა მედიკამენტი უნდა იყოს აღრიცხული.

## ტრიალის/კვლევის ამოცანები და მიზანი

**მიზანი** შეფასდეს ტრანექსამის მჟავის კლინიკური ეფექტურობა ინტრაცერებრული ჰემორაგიის შემდეგ. შდეგები განსაზღვრავს უნდა იქნეს თუ არა გამოყენებული იცვ ის მკურნალობის კლინიკურ პრაქტიკაში ტრანექსამის მჟავა.

**ჰიპოთეზები:** ტრანექსამის მჟავა აუმჯობესებს იცვ გამოსავალს ჰემატომის გავრცობის/ექსპანსიის შეჩერებით, ადრეული სიკვდილის პრევენციით და გადარჩენილებში ფუნქციური გამოსავლის გაუმჯობესებით.

## პირველადი ამოცანა

შეფასდეს ტრანექსამის მჟავის ეფექტურობა სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით იცვ ის დროს TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

ადრეული ( ≤7 დღე) სიკვდილობის თვალსაზრისით

### **მეორადი ამოცანები**

შეფასდეს ტრანექსამის მჟავის ეფექტურობა სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით იც3 ის დროს დამოკიდებულების/dependency (მოდულირებული რანკინის შკალით) თვალსაზრისით 180 დღეს

შეფასდეს ხარჯთეფექტურობა და ხარჯების საჭიროება (გაწერის და ადგილმდებარეობის მონაცემებზე დაყრდნობით) 180 დღეს: ტრანექსამის მჟავა ვერსუს სტანდარტული მკურნალობა

### **ტრიალის/კვლევის დიზაინი**

#### **ტრიალის/კვლევის კონფიგურაცია**


პრაგმატული, ფაზაIII, ორმაგ იბრმა, პლაცებო კონტროლირებადი კვლევა შესრულებულია 2 ფაზად: 30 თვიანი პილოტური ფაზა პრე-სპეციფიური კრიტერიუმებით, შემდეგ ძირითადი ფაზა (დაახლოებით 145 ცენტრი ჩართავს მთლიანობაში 5500 მონაწილეს. ჩართვისას წყვეტა არ იქნება, რადგან ტრიალი გადადის საწყისი ფაზიდან ძირითად ფაზაზე, თუ შეწყვეტის კრიტერიუმები არ იარსებებს.

დანართი 1 კვლევის დიზაინის სქემატურ დიაგრამას, პროცედურებს და საფეხურებს, რანდომიზაციას, ძირითად და შუალედურ ვიზიტებს, საბოლოო ვიზიტს, მოგვიანებით/ხანგრძლივ შეფასებით ვიზიტებს long-term follow-up.

TICH-3 ჩარტი პროტოკოლი ვერსია 1.3 4 მარტი 2021

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



§ ჰოსპიტალში მომართვისას მწვავე ინსულტზე საექვო ყველა პაციენტის სტანდარტული ნეიროვიზუალიზაცია; \* ჰემატომის მოცულობა დაახლოებით; & ინტრაცერებრული ჰემორაგიის სტანდარტული მკურნალობა გულისხმობს პაციენტის სისხლის წნევის დაქვეითებას და ინსულტის განყოფილებაში განთავსებას ჩვენებისას

ნაციონალური საკოორდინაციო ცენტრი არის ნოტიმგეში (გაერთიანებული სამეფო)

შემოკლებები: ICH ინტრაცერებრული ჰემორაგია, IV ინტრაცერებრული ი/ვ, NIHSSჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის ინსულტის შკალა, HV ჰემატომის მოცულობა, DNAR რესურსების არ ჩატარება, GCS გლაზგოს კომის შკალა, BP სისხლის წნევა, ITU ინტენსიური განყოფილება, EQ5D ევროქოლი, VAS ვიზუალური ანალოგის შკალა, AD-8 ვაშინგტონის უნივერსიტეტის დემენციის სკრინინგის ტესტი

### ტრიალის /კვლევის პროცედურების გამარტივება

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



ინტრავერბრული ჰემორაგიის გადაუდებელი და კრიტიკული ბუნების გათვალისწინებით, იმისათვის რომ მოხდეს სწრაფად ჩართვის ფასილიტაცია ემერჯენსის განყოფილებაში, თუნდაც იმ ჰოსპიტალებში, რომლებსაც შეეხო პანდემია, ჩართვის პროცესი, / რანდომიზაცია და ყველა სხვა კვლევასთან დაკავშირებული პროცედურა მნიშვნელოვნად არის გაიოლებული, გამარტივებულია თანხმობის ფორმა და მინიმალურია დასარეგისტრირებელი მონაცემები. რანდომიზაცია მარტივი და ხანმოკლეა, რადგან გამოიყენება ნუმერაციით მომდევნო ყუთი. შეფასებითი Follow-up ინფორმაცია მოიპოვება ერთჯერადად, უშუალოდ მონაწილისგან, ფოსტით, ტელეფონით ან ელექტრონული ფორმით, ან სამედიცინო ჩანაწერებიდან/მონაცემთა ბაზიდან.

### **პირველადი საბოლოო პუნქტი**

#### **პირველადი გამოსავალი:**

ადრეული სიკვდილი ინტრავერბრული ჰემორაგიის განვითარებიდან მე7 დღეს ან მის ჩათვლით.

პირველადი გამოსავლის გამართლება: ინსულტის შემდგომ გამოსავლის საზომი არის ფუნქციური გამოსავალი მოდიფიცირებული რანკინის შკალის მიხედვით 90 დღეზე, თუმცა ჩვენი ჰიპოთეზის მიხედვით ტრანსქსამის მჟავა აუმჯობესებს გამოსავალს ჰემატომის ექსპანსიის შეწყვეტით, ჰემორაგიის გავრცობა კი არის ადრეული სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზი იც3-ს დროს, TXA არის ჰემოსტატიური თერაპია, აქედან გამომდინარე ჩვენ გვწამს, რომ ადრეული ( $\leq 7$  დღე) მორტალობა არის მეტად შესაბამისი და სათანადო გამოსავალი TICH-3 ფარგლებში.

#### **მეორადი საბოლოო პუნქტი:**

**წინასწარ განსაზღვრული მეორადი საბოლოო პუნქტი:** ფუნქციური გამოსავალი: დამოკიდებულება/Dependency შეფასებული მოდიფიცირებული რანკინის შკალით, (Sulter, Steen, & de Kayser, 1999) 180 დღეზე.

#### **სხვა მეორადი გამოსავლები:**

#### **უსაფრთხოების გამოსავალი პუნქტი**

პირველი 7 დღის განმავლობაში (ან ლეტალური გამოსავლის შემთხვევაში, თუ უფრო ადრე მოხდა) განვითარებული: ვენური თრომბოემბოლიზმი, ტვინის იშემიური დაზიანება/დაზიანებები, გულყრა.

#### **მეორადი გამოსავალი მე 2 დღეს**

1. ლეტალობა ინსულტის განვითარებიდან 2 დღეს ვადაში

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

## მეორადი გამოსავლები 180 ე დღეს

1. ფუნქციური სტატუსი (mRS)
2. სიცოცხლის ხარისხი (EQ-5D™)
3. სახლში განთავსების დრო/პერიოდი (იმ დღეების გამოკლებით, რაც პაციენტი იმყოფება ჰოსპიტალში ან რომელიმე ინსტიტუციაში)
4. კოგნიცია/აზროვნება (AD-8)(Galvin et al., 2007)

## შეჩერების წესები და შეწყვეტა

მონაწილეებს შეუძლიათ გაიტანონ თანხმობა ნებისმიერ დროს. კვლევის მედიკამენტი შესაძლოა შეჩერდეს ნებისმიერ დროს მკვლევარის ან მკურნალი ექიმის მიერ, თუ ამგვარად ჩათვლიან საჭიროდ, თუმცა კვლევის მედიკამენტი მხოლოდ პირველი 8 საათის განმავლობაში მიეწოდება პაციენტს. უსაფრთხოების მოვლენის კლინიკური მანიფესტაციისას (თრომბოზი ან კრუნჩხვები) ან IMP-ს გადასხმის დროს განვითარებული მკვლევარისთვის/მკურნალი ექიმისთვის საურადღებო მოვლენის არსებობისას, ინფუზია უნდა შეწყდეს. ეს ჩაიწერება/დოკუმენტირდება, როგორც კვლევის დოკუმენტაციისა და უსაფრთხოების მონიტორინგის ნაწილი

სერიოზული გვერდითი მოვლენა **SAE**

დამოუკიდებელი მონაცემთა მონიტორინგის კომისია DMC აფასებს მონაწილეთა უსაფრთხოებას და მოახსენებს ტრიალის სადამკვირვებლო კომისიას, კვლევა შესაძლებელია შეწყდეს სპონსორის მიერ ნებისმიერ დროს უსაფრთხოების მიზნით. დგება სპონსორის და DMC კონტრაქტი რომელიც მოიცავს შემადგენლობის დეტალებს, წესებს და პირობებს, და შეწყვეტის გაიდაინებს.

DMC მოახსენებს რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ მმართველს.

## რანდომიზაცია და დაბრმავება

რანდომიზაცია ხდება შეფარდებით 1:1 ტრანექსამის მჟავა ან პლაცებო. სიტუაციის გადაუდებლობიდან და სიმწვავიდან გამომდინარე გამოიყენება რანდომიზაციის გამარტივებული მეთოდი, როცა საიტი ირჩევს ნუმერაციით მომდევნო სამკურნალო საშუალების შეფუთვას, დანომრილი ყუთებიდან, რომელიც შეიცავს კომპიუტერის მიერ შერჩეულ ტრანექსამის მჟავას ან პლაცებოს. ბოთლები იდენტურია, მხოლოდ ნომრებით განსხვავდება ერთმანეთისგან. სტრატეგიკაცია საიტების მიხედვით იწარმოებს, ისე, რომ ბალანსირებული იყოს ტრანექსამის მჟავისა და პლაცებოს რაოდენობა, permuted blocks of varying size პრინციპის გამოყენებით. ნოტინჰემის ინსულტის ტრიალების განყოფილება (NSTU) წარუდგენს რანდომიზაციის სიას მედიკამენტის მწარმოებელს Sharp Clinical Services UK. მწარმოებელი მოამზადებს ბრმა ინდივიდუალურ

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინჰემის უნივერსიტეტის მხრიდან.

შეფუთვას, რომელიც მოიცავს 4 ცალ 5მლ-იან ამპულას 500 მგ ტრანექსამიკის მჟავის ან 0.9% ფიზიოლოგიური ხსნარის შემადგენლობით, ამპულები ერთმანეთისგან ვიზუალურად არ განირჩევა.

ალოკაციის დაფარვა: მონაწილეები, მათი ოჯახები, კვლევითი გუნდი რომელიც უზრუნველყოფს მონაწილეთა ჩართვასა და მედიკამენტის გამოწერას, კლინიკური/ მკურნალი ჯგუფი რომელიც მეთვალყურეობს მონაწილეს და კვლევითი პერსონალი ვინცატარებს შეფასებით ვიზიტებს ბრმა მინიჭებული მკურნალობის მიმართ მთელი ტრიალის განმავლობაში. მკურნალობა ასევე დაფარულია TMG და კვლევითი პერსონალისთვის სანამ დასრულდება მონაცემთა მოგროვება, ფინალიზდება სტატისტიკური ანალიზის გეგმა (SAP) და დაილუქება მონაცემთა ბაზა. DMC კომიტეტს აქვს ცვდომა ჯგუფების განაწილების შესახებ ინფორმაციაზე, მაგრამ არა ალოკაციაზე, გარდა იმ შემთხვევისა როცა არსებობს სპეციალური მოთხოვნა. TSC სამეთვალყურეო საბჭო ასევე ბრმა ალოკაციის მიმართ, თუ არ მოითხოვს დაფარვის მოხსნას მონაცემთა მონიტორის კომისია. TMG და კვლევის სტატისტიკოსს აქვთ წვდომა მთელს კოპორტზე. ანგარიშები, რომლებიც იყოფა ინტერვენციით (როგორც ამას DMC მოითხოვს) მომზადდება დამოუკიდებელი სტატისტიკოსის მიერ ნოტინჰემის კლინიკური ტრიალების განყოფილებაში, რომელსაც არ ექნება კონტაქტი მონაწილეებთან.

### **რანდომიზაციის კოდების შენარჩუნება და კოდების გატეხვის პროცედურები**

კლინიცისტები, პაციენტები და გამოსავლის კლინიკური და რადიოლოგიური შემფასებლები იქნებიან ბრმა მკურნალობის ალოკაციის მიმართ. ძირითადად არ იქმნება მკურნალობის განკუთვნიების/ალოკაციის დაფარვის მოხსნის საჭიროება. თუ გაჩნდა რაიმე წინააღმდეგვენება ანტიფიბრინოლიზური მკურნალობის მიმართ რანდომიზაციის შემდგომ (მაგ. თრომბოზის კლინიკური თვალსაჩინოება) ტრიალის მკურნალობა უბრალოდ შეჩერდება. გახსნა მოხდება მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ექიმი თვლის, რომ კლინიკური მენეჯმენტი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმის ცოდნაზე, მიიღო პაციენტმა საკვლევი წამალი თუ პლაცებო. იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია დაუყოვნებელი გახსნა, აუცილებელია გადაუდებელი დახმარების ტელეფონზე დარეკვა და იმ ექიმის სახელის მიწოდება, რომელსაც მისცემენ მკურნალობის გახსნის უფლებას და მიაწოდებენ პაკეტის ნომერს. ამის შემდეგ ზარის ავტორს ეტყვიან თუ რა ეძლევა პაციენტს, ტრანექსამის მჟავა თუ პლაცებო. გახსნის სიხშირე მონიტორირდება და აღირიცხება.

მკურნალობის კოდის გატეხვის შემთხვევაში ჩვეულებრივ ეს აღირიცხება, როგორც SAE -ს მენეჯმენტის ნაწილი (მეტი დეტალები იხილეთ ქვემოთ) და ასეთი მოქმედებები მოხსენებული იქნება შესაბამის ვადაში. მთავარი მკვლევარი (დელეგირებული აქვს სპონსორის პასუხისმგებლობები) უნდა იქნეს TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინჰემის უნივერსიტეტის მხრიდან.

ინფორმირებული დაუყოვნებლივ (24 საათში) ნებისმიერი სერიოზული ადვერსიული მოვლენის შესახებ და მან განსაზღვროს სერიოზულობა და მიზეზობრიობა ნებისმიერ მკურნალ პრაქტიკოსთან ერთად

## ტრიალის მენეჯმენტი

კვლევის საკოორდინაციო ცენტრი ნოტინჰემის უნივერსიტეტის ინსულტის კვლევების დეპარტამენტში. ტრიალს მართავს მთავარი მკვლევარი და კვლევის მენეჯმენტის ჯგუფი. მთავარ მკვლევარს chief investigator აქვს მთლიანი ზედამხედველობა დაპასუხისმგებლობა კვლევაზე.

მთავარ მკვლევარს აქვს ადმინისტრაციული და ოპერაციული პასუხისმგებლობა მონაცემებზეც data custodian.

სპონსორი არის ნოტინჰემის უნივერსიტეტი, ტრიალს კოორდინაციას გაუწევს ნოტინჰემის ინსულტის ტრიალების განყოფილება (NSTU) ნოტინჰემის კლინიკური ტრიალების განყოფილებასთან (NCTU) ერთად, რაც მოიცავს კვლევის მენეჯმენტი მონაცემთა მენეჯმენტი, მონაცემთა ბაზის განვითარება, რანდომიზაციის სიის წარდგენა მწარმოებლისთვის, მოხსენებების სტატისტიკური ანალიზი და შენარჩუნება/შენახვა. ტრიალის ყოველდღიური მენეჯმენტი იქნება ტრიალის მენეჯმენტის ჯგუფის TMG პასუხისმგებლობა. TMG პასუხისმგებელია პროექტის სხვადასხვა ეტაპების მიღწევაზე, ყოველთვიური შეკრებების უზრუნველყოფაზე მთელი კვლევის პერიოდში.

გაერთიანებული სამეფოს საიტებზე ტრიალი მოიცავს ადგილობრივ ბაზას და ინტერნაციონალური ელემენტები დაემატება საერთაშორისო საიტებიდან. ცალკე ლოკალური რეგულატორული თანხმობა არის საჭირო ინტერნაციონალური ცენტრებისთვის არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით, ლოკალურ საიტსა და ნოტინჰემის უნივერსიტეტს შორის იდება კონტრაქტი, სადაც მითითებულია მოვალეობები და პასუხისმგებლობები ტრიალის მიმდინარეობასთან დაკავშირებით.

ტრიალის სადამკვირვებლო კომისია/სამეთვალყურეო საბჭო (TSC) მოიცავს დამოუკიდებელ მმართველს, ორ დამოუკიდებელ წევრს და პაციენტის წარმომადგენელს სპონსორისა და NIHR HTAგზამკვლევის მიხედვით. TSC უზრუნველყოფს ტრიალზე ზედამხედველობას, კვლევის პროგრესისა და მიმდინარეობის მონიტორს, და საჭიროების შემთხვევაში მოქმედებს მონაცემთა მონიტორინგის კომისიის რეკომენდაციების მიხედვით. ტრიალის მენეჯმენტის ჯგუფი მოახსენებს მონაცემებს სადამკვირვებლო კომისიას. სამეთვალყურეო საბჭო და მონაცემთა მონიტორინგის კომიტეტი კვლევის დაწყებამდე იკრიბებიან რათა დაამტკიცონ პროტოკოლი, შემდეგ დასაწყისისთვის 6 თვეში ერთჯერ და ამის შემდგომ წელიწადში ერთჯერ მაინც, თავისივე გადაწყვეტილებით.

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინჰემის უნივერსიტეტის მხრიდან.

დამოუკიდებელი მონაცემთა მონიტორინგის კომიტეტი (DMC) იქმნება და გულისხმობს დამოუკიდებელ მმართველს, დაავადების ექსპერტს და სტატისტიკოსს, ისინი აფასებენ უსაფრთხოების მოვლენებს/შემთხვევებს safety events(მათ შორის გულყრა, ტრომბო-ემბოლიზმი, არტერიების ოკლუზიური გართულებები და სიკვდილი, SARS დაSUSARs და ეფექტურობის გამოსავლებს efficacy outcomes რეკრუტირების დროს. DMC მმართველი კომუნიცირებს TSC მმართველთან.

დამოუკიდებელი მონაცემთა მონიტორინგის კომისიის წესდება შედგენილიაDAMOCLES კვლევითი ჯგუფის გზამკვლევის მიხედვით .("A proposed charter for clinical trial data monitoring committees: helping them to do their job well," 2005), წესდება განსაზღვრავს DMC შეხვედრების განრიგს და ფორმატს, შუალედური რეპორტებისა და წესების შეჩერების მეთოდს და პერიოდულობას. შეჩერების წესები დაფუძნებულია კომბინაციაზე: „იტკიცებულება გონივრული ექვის მირრმა/ექვს გარეშე“ და ალბათობა რომ რეზულტატები შეცვლის კლინიკურ პრაქტიკას. ესენი არაა წმინდა მათემატიკურიშეწყვეტის წესები, არამედ Peto rule მძლავრი გავლენის ქვეშაა (Peto et al., 1977),სადაც განსხვავება ზოგადად უნდა იყოს მინიმუმ სამი სტანდარტული შეცდომის standard errors სიდიდე.ასეთი ანალიზის სიხშირეს განსაზღვრავს DMC, მინიმალური რაოდენობა იწერება წესდებაში. ნებისმიერი გადაწყვეტილება გახსნილი რეზულტატების ადრეულ დახურვაზე TSC სთვის DMC ახსნილი/ გამართლებული უნდა იყოს მათემატიკური შეჩერების წესებისა და მეცნიერული განსჯის სათანადო კომბინაციით.

## **ტრიალის/კვლევის ხანგრძლივობა და მონაწილეთა ჩართულობა**

### **მონაწილეობის ხანგრძლივობა**

კვლევაში ჩართული თითოეული მონაწილისთვის კვლევის მაქსიმალური ხანგრძლივობა არის 6 თვე.

### **კვლევის ხანგრძლივობა**

კვლევის ხანგრძლივობა იქნება 7 წელი და 4 თვე

### **კვლევის დასრულება**

კვლევა დასრულდება უკანასკნელი მონაწილის 6 თვის შეფასებითი ვიზიტის ჩატარების შემდეგ და დაილუქება მონაცემთა ბაზა.

### **მონაწილეთა სელექცია და ამოღება**

#### **რეკრუტირების პარამეტრები**

მონაწილეთა შერჩევა/ რეკრუტირება იწარმოებს პაციენტებში ემერჯენსი/გადაუდებელი დეპარტამენტებიდან, ინსულტის ცენტრებიდან/განყოფილებებიდან გაერთიანებულ სამეფოსა და მთელს

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

მსოფლიოში. მონაწილეთა შერჩევა გაერთიანებულ სამეფოში მოხდება NIHR კლინიკური კვლევითი ქსელის საიტების მეშვეობით, სადაც სპეციალური პერსონალი ზრუნავს რეკრუტირების ფასილიტაციასა და შემდგომ დაკვირვებაზე.

დიდ ბრიტანეთში ეფექტური რეკრუტირების მიღწევისთვის გადაუდებელი დეპარტამენტებიდან ტრიალს ასისტირებას გაუწევს ინსულტისა და ტრავმების კლინიკური კვლევების ქსელი და გადაუდებელი სიტუაციების პორტფოლიო. კვლევაში სხვა ქვეყნების საიტების ჩართულობა გაზრდის რეკრუტირებას და ტრიალის ვალიდურობას. თუ მონაწილეთა უმრავლესობას დიდი ბრიტანეთიდან მოვიაზრებთ, ამ მოცულობის დეფინიციური კვლევის განხორციელება, შეუძლებელი იქნება საერთაშორისო ჩართულობის გარეშე. ინტერნაციონალური საიტები შემდეგ შესაძლებლობებს იძლევა: არსებულ კითხვებზე უფრო მეტად ეფექტური პასუხების გაცემა, პოტენციური მონაწილეების მოძიების მეტი შესაძლებლობა, მონაწილეთა სამიზნე რაოდენობის მიღწევა შედარებით ხანმოკლე ვადებში, და ხარჯთეფექტურობა. (Minisman et al., 2012), შევარჩიეთ ინტერნაციონალური ცენტრები, სადაც მსგავსია სამედიცინო სისტემა დიდად არ განსხვავდება დიდი ბრიტანეთისგან, მსგავსია ინტრაცერებრული ჰემორაგიის პაციენტების კლინიკური მართვის მოდელი და მკურნალობა.

**პაციენტის მართვის გზა/Care pathway** აღნიშნული პრაგმატული კვლევა იმგვარადაა დიზაინირებული რომ მწვავე ინსულტის კლინიკური მართვის გზა თანხვედრაში იყოს დაუყოვნებელ ნეიროვიზუალიზაციასთან, რათა შეფასდეს სწრაფი/მწვავე მკურნალობის მიზანშეწონილობა და შესაძლებლობა დაავადების განვითარებიდან 4.5 საათში, როგორცაა მაგალითად თრომბოლიზი. კომპიუტერული ტომოგრაფიით იცვ კონფირმაციისთანავე, ფასდება პაციენტის კვლევაში ჩართვის შესაძლებლობა/eligibility. გადაუდებელი თანხმობის პროცედურები ხელს უწყობს ჩართვის ფასილიტაციას და მარტივი რანდომიზაცია კი საშუალებას იძლევა მკურნალობა დაწყებულ იქნას სკანერთანვე/რადიოლოგიურ დეპარტამენტში, ისევე როგორც თრომბოლიზის შემთხვევაში იშემიური ინსულტის დროს. პაციენტი ასევე ღებულობს სტანდარტულ მკურნალობას რაც გულისხმობს: ანტიჰიპერტენზიულ თერაპიასკლინიკური გაიდლაინების მიხედვით, არტერიული წვეის დაქვეითება TICH-2 მიხედვით მნიშვნელოვანი გარემოებაა და ხასიათდება სარწმუნო სინერგიზმით ტრანექსამის მჟავასთან.

თანასწორობა, მრავალფეროვნება და ინკლუზია კვლევის მონაწილეთათვის Equality diversity and inclusion for study participants: ისტორიულად ინსულტის ტრიალებში შედარებით ნაკლებადაა წარმოდგენილი: ქალები, შავკანიანი, აზიური, მოსახლეობა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (BAME). ჩვენი პრაგმატული ჩართვის კრიტერიუმები და გადაუდებელი თანხმობის პროცესი (რომელიც არ საჭიროებს პარტნიორის ან

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

ნათესავის ჩართულობას თანხმობის პროცესში) ზრდის კვლევის ინკლუზიურობას. გარდა ამისა, კვლევაში ჯანმრთელობის უთანასწორობის შესახებ NHS გრძელვადიანი გეგმის შესაბამისად, ჩვენ ჩავურთეთ SWAT, რომელიც მიზნად ისახავს უთანასწორობის შემცირებას/აღმოფხვრას უმცირესობების თემებიდან მონაწილეთა ჩართვისას. SWAT-ის დეტალები იხილეთ პროტოკოლში მოგვიანებით.

მონაწილეთა შერჩევა/ რეკრუტირება იწარმოებს პაციენტებში ემერჯენსი/გადაუდებელი მიღების დეპარტამენტებიდან, ინსულტის ცენტრებიდან/განყოფილებებიდან გაერთიანებულ სამეფოსა და მთელს მსოფლიოში. თავდაპირველად პაციენტთან კონტაქტობს მისი მკურნალი ჯგუფის წევრი (რომელიც შესაძლოა იყოს მკვლევარიც/ინვესტიგატორი), იცვლის გადაუდებელი/მწვავე ბუნებიდან გამომდინარე გამოვიყენებთ ეტიკური კომისიის მიერ დამტკიცებულ გადაუდებელ თანხმობის პროცედურას, რათა უზრუნველყოფილ იქნას ისეთი პაციენტების ჩართულობა, ვისაც არ გააჩნია უნარი თვითონ გასცენ თანხმობა. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ინსულტის ჯგუფთან რათა შევიმუშაოთ საუკეთესო მიდგომა. თუ საჭიროა, ჰოსპიტლის ჩვეული მთარგმნელი ან მთარგმნელობითი სამსახური ხელმისაწვდომი იქნება ტრიალის შინაარსის, მონაწილის საინფორმაციო ფურცლის, თანხმობის ფომის განსახილველად, თუმცა თანხმობის ფორმა და საინფორმაციო ფურცელი რუტინულად არ იბეჭდება სხვა ენაზე, უელსში აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილია უელსურად.

პოტენციურ მონაწილეს ან მის ახლობელს/ნათესავს ( იმ შემთხვევაში თუ პაციენტი უუნაროა გასცეს თანხმობა) განემარტება, რომ ტრიალში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითია, და მათი გადაწყვეტილება ზეგავლენას არ მოახდენს მათ მზრუნველობასა და მკურნალობაზე. კვლევიდან გასვლის დეტალები იხილეთ ქვემოთ.

### **ჩართვის კრიტერიუმები/ Eligibility criteria**

#### **ჩართვის კრიტერიუმები/Inclusion criteria:**

მოზრდილები (> 17) მწვავე, სპონტანური ინტრაცერებრული ჰემორაგიის (დადასტურებული ნეიროვიზუალიზაციურად) განვითარებიდან 4.5 საათიან შუალედში. გიმ შემთხვევაში, როცა სიმპტომების დაწყების დრო უცნობია, პაციენტი ერთვება კვლევაში სიმპტომების აღმოჩენიდან 4.5 საათის განმავლობაში, გამორიცხვის კრიტერიუმების არარსებობისას.

#### **გამორიცხვის კრიტერიუმები/Exclusion Criteria:**

- i. პაციენტები რომლებიც საჭიროებენ ტრანექსამის მჟავას (მაგალითად ტვინის ტრავმული დაზიანება)
- ii. ტრანსამიკისმჟავაზეწინააღმდეგევენება

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

- iii. პაციენტები, რომლებიც ჩართვის დროს ღებულობენ ანტიკოაგულანტებს
- iv. მასიური ინტრაცერებრული ჰემორაგია, როცა ჰემოსტატური თერაპია უშედეგოა (ეს, ჩვეულებრივ იმ შემთხვევებს ეხება, როცა სისხლის მოცულობა მეტია 60 მლ-ზე)
- v. ღრმა კომატოზური მდგომარეობა (გლაზგოსკომისშკალა Glasgow Coma Scale < 5)
- vi. მიღებულია აქტიური თერაპიის შეწყვეტის ან პალიატიური მზრუნველობის გადაწყვეტილება

### ჩართვის/გამორიცხვის კრიტერიუმების გამართლება:

ჰემატომის მოცულობა არის ჰემატომის გავრცელების ერთერთი ყველაზე ძლიერი პრედიქტორი და თავისთავად ასოცირებულია გამოსავალთან იკვს დროს. ჩვენი წინა კვლევები და ასევე სხვათა მონაცემები ადატურებს რომ ინტრაცერებრული ჰემორაგიის მქონე პაციენტებში რომელთა სისხლის მოცულობა >60მლ ზე აღინიშნება მძიმე გამოსავალი (შეფასება მოდიფიცირებული რანკინის შკალის მიხედვით), შესაბამისად ასეთი პაციენტები არ მონაწილეობენ TICH-3 კვლევაში.

ჰემატომის მოცულობა: (HV) შეიძლება შეფასდეს მარტივი ABC/2 მეთოდის გამოყენებით (Kothari et al., 1996) საჭიროებს მხოლოდ რამოდენიმე წუთს. აღნიშნული საზომი ძირითადად კლინიკური კვლევებისთვისაა, თუმცა იზრდება მისი გამოყენება კლინიკურ პრაქტიკაშიც. იმ შემთხვევაში, როცა ABC/2 მეთოდის გამოყენება შეუძლებელია დროის სიმცირის გამო, გვებმარება მარტივი ერთკომპონენტური მეთოდი (ჰემატომის უდიდესი დიამეტრი): იმ შემთხვევაში თუ ჰემატომის დიამეტრი მისი ყველაზე დაცილებული წერტილებიდან მეტია 5 სანტიმეტრზე, მოსალოდნელია ჰემატომის მოცულობა იყოს 60 მლ ზე მეტი, შესაბამისად ასეთი პაციენტი ვერ ხვდება კვლევაში (Bath et al., 2019).

დრო: ჰემატომის გავრცელების რისკი კორელირებს და ასოცირებულია დროსთან სიმპტომების განვითარებიდან, რომელიც ყველაზე მაღალია პირველ რამოდენიმე საათში, რასაც მოსდევს პლატო 6 საათი. მიუხედავად იმისა რომ სხვა კვლევებმა ტრანექსამის მჟავაზე აჩვენა, რომ TXA ეფექტი ყველაზე მაღალია სიხლდენიდან 3 საათში, არ იყო სამიზნე სელექციის საშუალება, რადიოლოგიური სურათის არარსებობის გამო.

ნეირორადიოლოგიურად ჰემატომის მოცულობის გაზომვით შეგვიძლია გამორიცხოთ ისეთი პაციენტები, რომელთანაც უკვე აღინიშნა მნიშვნელოვანი ექსპანსია და თერაპიის სარგებელი არ არის მოსალოდნელი. კვლევაში ერთვებიან მხოლოდ ის პაციენტები, ვისთანაც მოსალოდნელია TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



ჰემოსტატიური თერაპიისგან პოტენციურ სარგებელი (ჰემატომის მოცულობა არ აღემატება 60 მლ). იშემიური ინსულტის შემთხვევაში თრომბოლიზისთვის მოწოდებული 4.5 საათიანი დროის ფანჯარა, სწრაფი და ეფექტური კლინიკური მენეჯმენტის გზა (დროული დიაგნოსტიკა და დაუყოვნებელი ნეიროვიზუალიზაცია) სარკისებური მოდელის შექმნის საშუალებას გვაძლევს ჰემორაგიული ინსულტის მართვისაგ.

თუ სიმპტომების განვითარების დრო უცნობია (როგორცაა ინსულტი გაღვიძებისას wake up stroke), დასაშვებია კვლევაში ჩაბმა სიმპტომების აღმოჩენიდან(გაღვიძებიდან) 4.5 საათში, თუ რადიოლოგიური მონაცემებით ჰემატომის მოცულობა არ აღემატება 60მლ, ესეიგი ჯერ არ აღინიშნება ჰემატომის მასიური გავრცობა/გაფართოება და შესაბამისად მოსალოდნელია ჰემოსტაზური თერაპიის პოტენციური სარგებელი.

ნეიროქირურგიული ინტერვენციის პოტენციური კანდიდატები არ გამოირიცხება TICH-3 კვლევიდან, რადგან მსგავსი გადაწყვეტილების მიღება დროს საჭიროებს, რაც დააყოვნებდა ჩართულობას.

გამორიცხვის კრიტერიუმში არ არის ინტრავენტრიკულური ჰემორაგია (IVH), ვინაიდან ის ინტრაცერებრული ჰემორაგიის შემთხვევათა დაახლოებით 1/3 ში აღინიშნება. კლინიკურ პრაქტიკაში ინტრავენტრიკულური ჰემორაგიის მოცულობა რუტინულად არ იზომება, და გვჯერა რომ ამის მოთხოვნა მკვლევარებისგან არ იქნება გონივრული/წარმატებული, არამედ დააყოვნებს ჩართვას და მკურნალობას.

### ორსულობა

ორსულები ან შვილოსნობის უნარის მქონე ქალები კვლევიდან არ გამოირიცხება, იმ მიზეზის გამო, რომ ეს არის გადაუდებელი კვლევა და შეუძლებელია დავაყოვნოთ ჩართვა ორსულობის დადგენის მიზეზით. მითუმეტეს რომ ერთჯერადი დოზა სწრაფად ელიმინირდება და გააჩნია დადგენილი უსაფრთხოების პროფილი, გამოიყენება რა ორსულებში პოსტ-პარტუმ ჰემორაგიის მკურნალობისთვის (Peitsidis & Kadir, 2011). ინტრავენტრიკულური ტრანექსამის მჟავა off-label გამოცდილია რანდომიზებულ ტრიალებში (WOMAN, CRASH, etc) პოსტპარტუმ ჰემორაგიის მკურნალობისა (WOMAN Trial Collaborators, 2017) (Ducloy-Bouthors 2011; WOMAN Trial Collaborators 2017) და პროფილაქტიკისთვის ფიზიოლოგიური მშობიარობის და საკეისრო კვეთის დროს (Novikova 2015; Saccone 2019; Sentilhes 2018; Simonazzi 2016; Xia 2020). FDA

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

მონაცემებით რომელიც ეყრდნობა ცხოველებზე ჩატარებული კვლევების მასალებს, ორსულობის ადრეულ პერიოდში ტრანექსამის მჟავა არ იწვევს ფერტილობის დაქვეითებას და არ აზიანებს ნაყოფს (Food & Drug Administration, 2013).

#### ორსულობის რისკის შეფასება

ICH არის გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სწრაფი გაუარესების პოტენციალით და ICH პაციენტების უმეტესობა გამოვლინდება და მკურნალობს სასწრაფო დახმარების განყოფილებებში. არ არის პრაქტიკული ან შესაძლებელი ორსულობის ტესტის ჩატარება რეპროდუქციული ასაკის პაციენტებში მათ კვლევაში ჩართვამდე. ინტერვენციის დროის დაგვიანება შექმნის დროის ფანჯარას, რომლის დროსაც შეიძლება მოხდეს ჰემატომის გაფართოება, ჰემატომის გაფართოება არის სიკვდილის ყველაზე გავრცელებული მიზეზი ICH-ის შემდეგ. ორსულობის პირველ ტრიმესტრში ჰემატომის გაფართოების რისკი მნიშვნელოვნად აღემატება ტრანექსამინის მჟავას რისკს. თუმცა, დასაშვებობის საბოლოო გადაწყვეტილება არის მკურნალი ექიმის/კლინიკის გამოიყენოს თუ არა TXA კონკრეტულ პაციენტში ICH.

#### ძუძუთი კვება

ტრანექსამის მჟავის გამოყენება უსაფრთხოა ქალებში რომელთა ბავშვებიც ბუნებრივ კვებაზე იმყოფებიან (Ahmadzia et al., 2021) კვლევებმა (როგორც მშობიარობის დროს ასევე 1-3 წლის შემდგომი) ცხადყო რომ ტრანექსამის მჟავა დედის და ნაყოფისთვის არ იწვევს ადვერსიულ ეფექტებს infant (Gilad, Merlob, Stahl, & Klinger, 2014). TICH-3 დროს ძუძუთი კვება უნდა შეწყდეს არანაკლებ 3 დღე.

#### **მონაწილეობის მოსალოდნელი ხანგრძლივობა**

კვლევაში მონაწილეობის ხანგრძლივობა არის 6 თვე.

#### **პაციენტის ამოღება მკურნალობიდან და შეფასებიდან**

##### **კვლევიდან გასვლა**

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და პაციენტები თავისუფალნი არიან ნებისმიერ დროს გავიდნენ კვლევიდან ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე. პაციენტებს განემარტება, რომ ეს ზეგავლენას არ მოახდენს მათ მომავალ მზრუნველობაზე. პაციენტებს გააგებინებენ (საინფორმაციო ფურცლის და ინფორმირებული თანხმობის მეშვეობით), რომ თუ ის გავა კვლევიდან, შეგროვილი მონაცემები არ ამოიშლება და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საბოლოო ანალიზში.

პაციენტს აზუსტებინებენ როგორ სურს გასვლა კვლევიდან: გაუქმდეს შემდგომი დაკვირვება, მის საკონტაქტო დეტალებთან ერთად თუ მის გარეშე. თუ პაციენტი უარს ამბობს მკურნალობაზე, გრძელდება

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

პროტოკოლის მიხედვით მისი შემდგომი დაკვირვება თუ არსებობს თანხმობა ამაზე. თუ პაციენტი უარს ამბობს პირადად მონაწილეობაზე, მაგრამ თანახმაა ინფორმაცია მოპოვებული იყოს სხვა წყაროებიდან ( მკურნალი ექიმი, სამედიცინო ჩანაწერები და ა.შ) შემდგომი დაკვირვება იწარმოებს აღნიშნული გზით. თუ პაციენტი მონაწილეობას წყვეტს დროებით, კლინიკური ჯგუფის წევრის გადაწყვეტილებით, მკურნალობის განახლება ხდება თავდაპირველ ვადებში. კვლევიდან გასვლა და მისი მიზეზი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მითითებულია/დოკუმენტირებულია შემთხვევათა მოხსენების ფორმაში.

პაციენტებს გააგებინებენ (საინფორმაციო ფურცლის და ინფორმირებული თანხმობის მეშვეობით), რომ თუ ის გავა კვლევიდან, ამ დრომდე შეგროვილი მონაცემები არ ამოიშლება და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საბოლოო ანალიზში.

პაციენტის გაყვანა ტრიალიდან ადვერსიული მოვლენების გამო: პაციენტში რომელთანაც განვითარდება ადვერსიული მოვლენა, საკვლევი მედიკამენტი შეიძლება სამუდამოდ ან დროებით შეწყდეს, კლინიკური გუნდის შეხედულებისამებრ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მონაწილე სრულყოფილ ინტერვენციას ვერ იღებს, ის რჩება ტრიალში კვლევის დასრულებამდე და უტარდება შეფასებითი ვიზიტი follow-up, ვინაიდან შემდგომი დაკვირვების ჩატარება მნიშვნელოვანია.

#### შემდგომი დაკვირვებისთვის დაკარგვა

იმ შემთხვევაში, როცა ვერ ხდება მონაწილის მოძიება შემდგომი დაკვირვებისთვის, გამოიყენება ნებისმიერი ინფორმაცია: ჰოსპიტალური მონაცემთა ბაზა, კლინიკის ან მკურნალი ექიმის ჩანაწერი, ან მესამეპირის მიერ მოწოდებული დეტალები, რათა გაირკვეს ცოცხალია თუ არა პაციენტი, მისი ახალი საკონტაქტო დეტალები, ჯანმრთელობის სტატუსი. პაციენტი შემდგომი მკურნალობისთვის დაკარგულად ითვლება თუ ვერ მოხერხდა მასთან/მის ახლობელთან დაკონტაქტება ვერანაირი გზით (სატელეფონო ზარი, ტექსტური შეტყობინება, წერილი)

პაციენტები შეიძლება გამოიყვანონ ტრიალიდან ან მათი საკუთარი თხოვნით ან მკვლევარის გადაწყვეტილებით.

#### **ინფორმირებული თანხმობა**

ინტრაცერებრული ჰემორაგია არის სამედიცინო გადაუდებელი მდგომარეობა, ტრავმული ექსტრაკრანიალური სისხლდენების შესახებ ჩატარებული ტრიალების მიხედვით არსებობს მტკიცებულება, რომ ტრანექსამის მჟავა მეტად ეფექტურია, რაც ადრეულად გამოიყენება 25]. TICH-3 კვლევაში ურგენტული მკურნალობის საჭიროება ნიშნავს, რომ მკურნალობა/ ტრიალში ჩართულობა არ უნდა დაყოვნდეს სანამ არ იქნება მოპოვებული სრული ინფორმირებული წერილობითი თანხმობა

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

პაციენტისგან, ნათესავისა თუ მისი კანონიერი წარმომადგენლისგან, ამგვარად, დასაწყისისთვის, პირველ ეტაპზე გამოიყენება ორალური თანხმობა პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისგან, იმისათვის რომ არ დახანდეს მკურნალობა და სამკურნალო მედიკამენტი თნ ვიქონიოთ რადიოლოგიური კვლევისას, რათა იცვას კონფორმაციისთანავე რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს მისი ადმინისტრაცია.

თანხმობა შემდგომ პროცესებს გულისხმობს:

**პაციენტს აქვს შესაძლებლობა თანხმობის მისაცემად: იქიდან გამომდინარე რომ იცვას არის გადაუდებელი**

**მდგომარეობა, მისი ბუნება არ იძლევა საშუალებას, მოპოვებულ იქნეს სრული წერილობითი ინფორმირებული თანხმობა, იმ შემთხვევაშიც კი, როცა პაციენტს აქვს შესაძლებლობა თანხმობის მისაცემად.** პაციენტის მკურნალი ჯგუფი განსაზღვრავს თანხმობის გაცემის უნარიანია თუ არა პაციენტი, და მასთან აზუსტებს აქვს თუ არა სურვილი კვლევაში მონაწილეობის. მკურნალი ექიმი ან დელეგატი ესაუბრება პაციენტს, უხსნის, რომ მას აქვს ინსუტი, რომელიც გამოწვეულია თავის ტვინში სისხლის ჩაქცევით, რასაც ინტრაცერებრული ჰემორაგია ეწოდება და მიიღებს აღნიშნული დაავადებისთვის შესაბამის მკურნალობას და რომ გარდა ამისა მას აქვს უფლება ჩაერთოს კვლევით პროექტში, რომლის მიზანია იცვას მკურნალობის გაუმჯობესება. ახსნილი იქნება, რომ კვლევა ტარდება იმის დასანახად, დაეხმარება თუ არა წამლის გამოყენება სახელწოდებით TXA ICH-ის მქონე პაციენტებს თავის ტვინში სისხლდენის რაოდენობის შემცირებით, შესაბამისად ტვინის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თუ ჩაერთვება კვლევაში, პაციენტს ჩაუტარდება ინფუზია ვენაში TXA ან მოჩვენებითი წამალი (სითხე, რომელიც არ შეიცავს TXA-ს, რომელსაც ეწოდება პლაცებო). ექიმი განმარტავს, რომ TXA ნაჩვენებია აუმჯობესებს შედეგს სხვა სახის მძიმე დაზიანებისა და სისხლდენის მქონე პაციენტებში და რომ TXA აღმოჩნდა უსაფრთხო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვიმედოვნებთ, რომ TXA გააუმჯობესებს გამოჯანმრთელებას ICH-ის შემდეგ,

ამჟამად ამაში დარწმუნებული ვერ ვიქნებით. მოკლე საინფორმაციო ფურცელი იქნება მოწოდებული, მაგრამ დეტალური წერილობითი ინფორმაცია იქნება მოწოდებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტი ითხოვს ამ ეტაპზე. თუ დრო იძლევა ამის საშუალებას, მიიღება წერილობითი თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღება სიტყვიერი თანხმობა, რასაც მოჰყვება წერილობითი თანხმობა.

მოთხოვნის შემთხვევაში მოწოდებული იქნება დეტალური საინფორმაციო ფურცელი. პაციენტის თანხმობის


შემთხვევაში რანდომიზაცია ხდება ზეპირი თანხმობის გამოყენებით და ეს დიკუმენტირდება შემთხვევის

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.


მოხსენების ფორმაში და სამედიცინო ჩანაწერებში. სრული, წერილობითი ინფორმირებული თანხმობა მიიღება რაც შეიძლება მალე, იდეალურად მომდევნო 24 საათის განმავლობაში. წერილობითი ინფორმირებული თანხმობა მოითხოვება სამედიცინო ჩანაწერებზე ხელმისაწვდომობისა და შემდგომი დაკვირვების პერიოდში მონაწილეობისთვის. მონაწილეთა საინფორმაციო ფურცელი მიეწოდება მონაწილეს ამ დროს, თუ უკვე არ არის წარმოდგენილი. ეს მიდგომა წარმატებით იქნა გამოყენებული ჰიპერმწვავე ინსულტის სხვა კვლევებში.

**დრო:** პოტენციურ მონაწილეებს მიეცემათ მანამ, სანამ მათ უნდა განიხილონ, სურთ თუ არა მიიღონ აღნიშნული მკურნალობა, თუმცა თავდაპირველი ზეპირი ნებართვის (თანხმობის) მისაღებად რეკომენდირებულია მაქსიმუმ 10 წუთი . პოტენციურ მონაწილეს განემარტება, რომ ეს არის გადაუდებელი მკურნალობა, მცირე თერაპიული დროის ფანჯრით. თუ პოტენციურ მონაწილეს არ სურს გადაწყვიტოს ასეთ მოკლე დროში, ის არ ჩაირთვება კვლევაში.



TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



‡უნარიანობის შემოწმება მკურნალი კლინიკური ჯგუფის პასუხისმგებლობაა

\*მოთხოვნის შესაბამისად მოიპოვება შემდგომი წერილობითი ინფორმაცია, კითხვა პასუხის შემდეგ ამ ეტაპზე ხელს აწერს დამოუკიდებელი ექიმი.

§ თუ პაციენტი გარდაიცვლება მანამ სანამ შესაძლებელი ხდება ამ ტიპის თანხმობის მოპოვება, ის მასალები გამოიყენება კვლევაში რაც იმ დროისთვისაა მოგროვებული, რადგან მათი გამოიყენება ბაიასური იქნება ტრიალისთვის.

\$ იმ შემთხვევაში თუ პაციენტს უნარიანობა არ დაუბრუნდა და ნათესავიც არ არის წარმოდგენილი, მოგროვილი მონაცემები გამოიყენება კვლევაში, მიკერძოებულობის თავიდან ასაცილებლად.

**პაციენტს არ აქვს შესაძლებლობა თანხმობის მისაცემად:** ამას განსაზღვრავს პაციენტის მკურნალი ჯგუფი.

თუ პოტენციურ მონაწილეს არ აქვს უნარი გასცეს საზრიანი თანხმობა (მაგ. დისფაზიის, დაბნეულობის ან ცნობიერების დონის დაქვეითების შემთხვევაში) გამოყენებული იქნება შემდეგი პროცედურა:

**კანონიერი წარმომადგენელი ესწრება:** თუ კანონიერი წარმომადგენელი (ნათესავი, პირადი კანონიერი წარმომადგენელი ან სხვა პირი, რომელიც შესაფერისია კანონიერი წარმომადგენლად და შეუძლია წარმოადგინოს პაციენტის სავარაუდო შეხედულებები და სურვილები) იმყოფება ადგილზე ან შეიძლება მასთან სასწრაფოდ დაკავშირება ტელეფონით საჭირო დროში, კლინიკური სიტუაციის გადაუდებელი ხასიათის გათვალისწინებით, მას მიეწოდება მოკლე ინფორმაცია კვლევის შესახებ.

კერძოდ, პასუხისმგებელი ექიმი ან დელეგატი განმარტავს, რომ პაციენტს ჰქონდა ინსულტი, რომელიც სავარაუდოდ გამოწვეულია თავის ტვინში სისხლდენით, რომელიც ცნობილია როგორც ქალასშიდა სისხლდენა (ICH) და მიიღებს ჩვეულებრივ სასწრაფო მკურნალობას ინსულტის დროს. ჩვეულებრივი ზრუნვის გარდა, თუ ICH დადასტურდა, მაშინ პაციენტი შეიძლება ჩაირიცხოს კვლევაში, რომელიც მიზნად ისახავს ICH- ით პაციენტთა მკურნალობის გაუმჯობესებას. ახსნილი იქნება, რომ კვლევა ტარდება იმის დასაზღაურებლად, დაეხმარება თუ არა წამლის გამოყენება სახელწოდებით TXA ICH-ის მქონე პაციენტებს თავის ტვინში სისხლდენის რაოდენობის შემცირებით, შესაბამისად ტვინის შემდგომი დაზიანების თავიდან ასაცილებლად. თუ ჩაერთვება კვლევაში, პაციენტს ჩაუტარდება ინფუზია ვენაში TXA ან მოჩვენებითი TICH ჰპროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

წამალი (სითხე, რომელიც არ შეიცავს TXA-ს, რომელსაც ეწოდება პლაცებო). ექიმი განმარტავს, რომ TXA ნაჩვენებია აუმჯობესებს შედეგს სხვა სახის მძიმე დაზიანებისა და სისხლდენის მქონე პაციენტებში და რომ TXA აღმოჩნდა უსაფრთხო. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ვიმედოვნებთ, რომ TXA გააუმჯობესებს გამოჯანმრთელებას ICH-ის შემდეგ, ამჟამად ამაში დარწმუნებული ვერ ვიქნებით. მოკლე საინფორმაციო ფურცელი იქნება მოწოდებული, მაგრამ ამ ეტაპზე დეტალური წერილობითი ინფორმაცია მხოლოდ მოთხოვნის შემთხვევაში იქნება წარმოდგენილი. თუ კანონიერი წარმომადგენელი წინააღმდეგია, მისი აზრი გათვალისწინებული იქნება და პაციენტი არ ჩაერთვება კვლევაში.

თუ ნათესავები (ან სხვა წარმომადგენელი, რომელსაც შეუძლია წარმოადგინოს პაციენტის სავარაუდო შეხედულებები და სურვილები) დაუყოვნებლივ ხელმისაწვდომი არ არის, კლინიკურ გუნდს შეუძლია მოითხოვოს დამოუკიდებელი ექიმის აზრი, რომელიც მზად არის იმოქმედოს როგორც კანონიერი წარმომადგენელი და ხელი მოაწეროს თანხმობის ფორმას.

მონაწილეებისთვის, რომლებიც ჩერთვნიან დამოუკიდებელი ექიმის თანხმობის შემდეგ, როგორც კი მოხდება ნათესავებთან დაკავშირება ან პაციენტის შესაძლებლობების აღდგენისთანავე, მიეწოდება დეტალური საინფორმაციო ფურცელი და მოითხოვება წერილობითი თანხმობა კვლევის გასაგრძელებლად. თუ შეუძლებელია სრული წერილობითი ინფორმირებული თანხმობის მოპოვება, მიუხედავად ყველა გონივრული მცდელობისა, მაგალითად, როდესაც პაციენტი იღუპება ან ვერ აღადგენს შესაძლებლობებს, ან თუ ახლობლები არ არიან ხელმისაწვდომი, პაციენტი დარჩება კვლევაში, თუ ის (ან ნათესავი/კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც მოქმედებს პაციენტის სახელით ქმედუნარობის შემთხვევაში) შემდგომში არ გამოთქვამენ კვლევიდან გასვლის სურვილს. მათ აეხსნებათ, რომ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს გავიდეთ კვლევიდან ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე და რომ ეს ზეგავლენას არ მოახდენს მათ მომავალ მზრუნველობაზე. მონაწილეთა გადაწყვეტილება გასვლის შესახებ გააუქმებს კანონიერი წარმომადგენლის გადაწყვეტილებას.

ზეპირი თანხმობის გაცემის შემდეგ მონაწილეებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენელს) მიმართავენ ჩართვიდან რაც შეიძლება მალე სრული წერილობითი თანხმობის მისაღებად. რეკრუტირებისა და რანდომიზაციის პროცესის დროს, მიღებული თანხმობის ტიპი იქნება დოკუმენტირებული და მონიტორირებული რათა უზრუნველყოფილი იქნას რომ თავდაპირველ ზეპირი თანხმობას მოჰყვება წერილობითი თანხმობა, სადაც ეს შესაძლებელია.

ტელემედიცინა: როდესაც დამოუკიდებელი ექიმი აფასებს პაციენტს ტელემედიცინის საშუალებით, სიტყვიერი თანხმობა მიიღება და დამოწმებული იქნება საავადმყოფოში მყოფი პირის მიერ და ეს ჩაიწერება

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

სამედიცინო დოკუმენტებში. თუ დამოუკიდებელ ექიმს არ სურს გადაწყვიტოს ტელემედიცინის საშუალებით, პაციენტი არ ჩაირიცხება.

თუ პაციენტს აქვს თანხმობის უნარი, მაგრამ არ შეუძლია ხელი მოაწეროს დარღვევის გამო (მაგ. ხელის დომინანტური სისუსტე), აკეთებს ნიშანს შესაძლებლობის ფარგლებში, მიღებული იქნება სიტყვიერი თანხმობა, დამოწმებული და ხელმოწერილი დამოუკიდებელი დამკვირვებლის მიერ.

თუ კანონიერი წარმომადგენლის მიერ არ არის შესაძლებელი თანხმობის პირადად გაცემა, მოწმის თანხმობა მიიღება მოწმესთან სატელეფონო ან ვიდეოკონფერენციის მეშვეობით ან ონლაინ თანხმობის ფორმების გამოყენებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ ნათესავებისთვის საავადმყოფოში წვდომა შეზღუდულია Covid-19-ის ან სხვა გადაუდებელი შემთხვევების გამო.

თანხმობის ფორმის ერთი ასლი რჩება მონაწილეს/კანონიერ წარმომადგენელს, ერთი ინახება მკვლევარის მიერ და მესამე, პაციენტის საავადმყოფოს ჩანაწერებში/ისტორიაში.

თუ იქნება რაიმე შემდგომი ცვლილება პროტოკოლში, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს კვლევაში მონაწილეობაზე, გაგრძელების თანხმობა მიიღება შეცვლილი თანხმობის ფორმის გამოყენებით, რომელსაც ხელს აწერს მონაწილე.

### **ტრიალის/კვლევის მკურნალობა და რეჟიმები**

დანართი 1 ში მოცემულია სქემატური დიაგრამა სკრინინგის, პროცედურების და ეტაპების/ საფეხურების, რანდომიზაციის, მკურნალობის, საბაზისო და შუალედური ვიზიტების, და შემდგომი დაკვირვების.

### **კვლევის მკურნალობა**

კვლევის მკურნალობა გულისხმობს: ინტრავენური ტრანექსამის მჟავის 2 გ ვენური კანულის მეშვეობით: 1 გ დატვირთვის დოზის ინფუზია (10 მლ 100 მლ ნატრიუმის ქლორიდის 0.9% საინფუზიო ხსნარში) 10 წუთის განმავლობაში, რასაც მოჰყვება 1 გ ინფუზია (10 მლ 250 მლ ნატრიუმის ქლორიდის ხსნარში) 8 საათის განმავლობაში. პლაცებო მკურნალობა ანაცვლებს ტრანექსამის მჟავას 0.9% ნატრიუმის ქლორიდით.

**დოზების დასაბუთება:** 2გ დოზით მიიღება პლაზმური ფიბრინოლიზის დასათრგუნავად საკმარისი კონცენტრაცია. გადაუდებელ სიტუაციაში ფიქსირებული დოზა უფრო პრაქტიკულია, ხოლო შერჩეული ფიქსირებული დოზა არის როგორც ეფექტური ასევე უსაფრთხო პაციენტთა დიდ და მცირე ჯგუფებში.

TICH-2-ში მონაწილეთა 95%-მა მიიღო როგორც ბოლუსი, ასევე საინფუზიო დოზა, 5%-მა არ მიიღო საინფუზიო დოზა. კრუნჩხვების რისკი ნაჩვენებია TXA-ს გამოყენებისას კარდიოქირურგიაში, სადაც გამოიყენება TXA-ს მაღალი დოზები (9გრ-მდე); TXA დოზები, რომლებიც აღემატება 80 მგ/კგ-ს, დაკავშირებული იყო კრუნჩხვებთან, ხოლო გულყრის რისკი უფრო მაღალი იყო ინფუზიის, ვიდრე

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



ბოლუსის შემთხვევაში. (Sharma et al., 2014)

შემოთავაზებული TICH-3 დოზა 2გ წარმოქმნის კონცენტრაციებს 17მგ-დან 50მგ/კგ-მდე, 40-120კგ წონის დიაპაზონის გათვალისწინებით, ეს იმაზე მეტია ვიდრე საჭიროა ფიბრინოლიზის ინჰიბიტორებისთვის (10-15მგ/ლ), ხოლო გაცილებით ნაკლებია იმ მაჩვენებელზე (100მგ/კგ), რაც ასოცირებულია კრუნჩხვების რისკთან.

არჩეული დოზის რეჟიმი გამოყენებული იყო შემდეგ კვლევებში: CRASH-2, CRASH-3, WOMAN და TICH-2-ში (დაახლოებით 55000 პაციენტი) და იყო უსაფრთხო და კარგად ტოლერირებადი, SAE-ის, VTE-ის ან კრუნჩხვების გაზრდის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს თირკმლის უკმარისობის მქონე პაციენტებში დაგროვების პოტენციური რისკი, რადგან TXA გამოიყოფა თირკმელების ექსკრეციის გზით, დოზირების რეჟიმი ამ კვლევაში არის ერთჯერადი დოზა, შესაბამისად დაგროვების ალბათობა/მოსალოდნელობა მინიმალურია. ამიტომ, თირკმლის უკმარისობის მქონე პაციენტებში დოზის კორექცია საჭირო არ არის. TXA-ს მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი მეტაბოლიზდება ღვიძლის მიერ, ამიტომ არ არის საჭირო დოზის კორექცია ღვიძლის ფუნქციის დარღვევის მქონე პაციენტებში.

**შეფასებები**

ადგილობრივი მკვლევარები შეაგროვებენ და შეიყვანენ მონაცემებს ინტერნეტით. მონაცემთა შეგროვება უნდა იყოს მინიმუმამდე, მაგრამ მოიცავს ეთნიკურ კუთვნილებას, პრემორბიდულ დამოკიდებულებას, სამედიცინო ისტორიას (ჰიპერტენზია, წინა ინსულტი, გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი, ანამნეზში ვენური თრომბოზები) და სალაპარაკო ენა. მონაცემები შეგროვდება პირველი 24 საათის განმავლობაში, მაგრამ არ არის სავალდებულო რანდომიზაციამდე, რათა მოხდეს სწრაფი ჩართვა და მკურნალობა.

შეფასებები	სკრინინგი	საბაზისო მონაცემები	დღე 7	სიკვდილი/ გაწერა	დღე180
კლინიკური შეფასება	X <sup>§</sup>		X		
შესაბამისობა სკრინინგისთვის	X				
თანხმობა	X				
რანდომიზაცია		X			
IMP ადმინისტრაცია		X			
NIHSS		X <sup>§</sup>	X <sup>§</sup>		
GCS			X <sup>§</sup>		
სისხლის წნევა		X <sup>§</sup>	X <sup>§</sup>		
უსაფრთხოების გამოსავალი		X	X	X	
mRS		ინსულტამდე სტატუსი			X

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

EuroQoL (EQ5d 5L)		ინსულტამდე სტატუსი		X	X
EuroQoL (VAS)		ინსულტამდე სტატუსი		X	X
კოგნიცია/აზროვნება(AD-8)					X
რესურსების გამოყენება			X	X	X
პაციენტის თვითრეპორტი ჯანმრთელობის რესურსების გამოყენება კითხვარი				X	X

mRS -მოდულირებული რანკინის შკალა NIHSS –ჯანდაცვის ნაციონალური ინსტიტუტის ინსულტის შკალაGCS  
გლაზგოს კომის შკალა SAEs- სერიოზული ადვერსიული მოვლენები, 4 რუტინული კლინიკური გამოკვლევა

უსაფრთხოების გამოსავლები: გულყრა/კრუნჩხვები, თრომბო-ემბოლიზმი, არტერიების ოკლუზიური  
მოვლენები და სიკვდილი.

#### მონაცემთა შეგროვება და შემდგომი დაკვირვება/ follow-up

თანხმობის შემდეგ, მონაწილეები შეფასდებიან კლინიკური გუნდის მიერ საწყის მახასიათებლებზე პირველ  
დღეს, მე-7 დღეს და საავადმყოფოდან გაწერისას. შემდგომი დაკვირვება იწარმოებს 180 დღეს საფოსტო  
კითხვარის ან სატელეფონო ინტერვიუს მეშვეობით, როგორც ეს არის სტანდარტული პრაქტიკა ინსულტის  
კლინიკურ კვლევებში. ადგილობრივი მკვლევარები შეაგროვებენ და შეიყვანენ მონაცემებსა და სურათებს  
უსაფრთხო ინტერნეტ ბმულის მეშვეობით რანდომიზირებიდან 7 დღის შემდეგ: (ან სიკვდილის  
შემთხვევაში, თუ უფრო ადრე მოხდა) მიეთითება ყოფნის ხანგრძლივობა, განთავსება.

ეროვნული საკოორდინაციო ცენტრი შეაგროვებს ინფორმაციას (რომელიც დაბრმავებულია მკურნალობის  
განაწილებაზე) პირველადი და მეორადი გამოსავლების შესახებ 180 დღეს (დაკვირვების დასრულება)  
საფოსტო კითხვარით (ან საჭიროების შემთხვევაში ტელეფონით).

#### ჯანდაცვის ეკონომიკის მონაცემები:

ჩვენ პროსპექტულად შევაგროვებთ მონაცემებს მონაწილეთა პრემორბიდულ სტატუსზე (mRS) და HRQoL  
(EQ-5D 5L და VAS), სადაც ეს შესაძლებელია მონაწილისგან, თუ არა ნათესავი/მეგობრისგან. ფასდება  
სტაციონარში ყოფნის დროს გამოყენებული ჯანდაცვის რესურსები: ანტიჰიპერტენზიული თერაპია, არ  
სცადოთ რენინმაციის ორდერი (DNAR), ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში გადაყვანა,  
ნეიროქირურგიული ჩარევა, საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობა, განთავსების ადგილი გაწერისას. 180  
დღეს ჩვენ შევაგროვებთ მონაცემებს რეადმისიის, ინსტიტუციონალიზაციის, სახლში დღეების და HRQoL  
(EQ-5D 5L), ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ, პაციენტის მონაცემების მოკლე

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი  
ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ  
წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

პროფორმის გამოყენებით (იხილეთ მოგვიანებით ჯანმრთელობის ეკონომიკური შედეგების დეტალებისთვის).

### ნეიროფიზიოლოგია:

როგორც მწვავე ინსულტის სტანდარტული მკურნალობის ნაწილი, ყველა მონაწილეს ჩაუტარდება წინასწარი რეკრუტირების CT ან MRI სკანირება საავადმყოფოში მიღებისას (კვლევაში ჩართვამდე) ინტრაცერებრული ჰემორაგიის არსებობის დასადასტურებლად. CT არის სტანდარტი დიდი ბრიტანეთის საავადმყოფოების უმეტესობაში. რეკრუტირებამდელი კომპიუტერული ტომოგრაფიის სურათები შეგროვდება მას შემდეგ, რაც რეკრუტირება დადასტურდება (დაშიფრული მონაცემები ინტერნეტით ან ფოსტით) ზუსტი და თანმიმდევრული ფენოტიპირებისთვის, განსაკუთრებით ჰემატომის მოცულობასთან HV მიმართებაში. ჩართვამდე, მკვლევარის მიერ, საიტზე შეფასდება ჰემატომის ზომა (ABC/2 წესი ან A< 5სმ). ჩვენ რუტინულად არ ჩავატარებთ შემდგომ ვიზუალიზაციას ჩართულ უბნებზე მაღალი ღირებულებისა და ტვირთის გამო. თუმცა, სადაც შესრულებულია კლინიკური მიზეზებით, ვაგროვებთ კრანიალურ CT გამოსახულებას, გამოსავლის ანალიზისთვის, როგორცაა ჰემატომის მოცულობის ცვლილება, პერიჰემატომური შეშუპება და ინტრაკრანიალური მას ეფექტი.

### შემდგომი დაკვირვება Follow Up

შესრულებულია ცენტრალიზებულად საფოსტო (ან სატელეფონო) დაკვირვებით 180 დღეს.

საფოსტო კითხვარები ფართოდ გამოიყენება კლინიკურ კვლევებში და mRS-ის შეფასება ამ მეთოდით სანდოა და ვალიდური. წინა კვლევებში ჩვენ ვიყენებდით სატელეფონო კითხვარებს, რადგან ისინი საშუალებას იძლევა შეფასდეს კოგნიცია და სხვა გამოსავლები, თუმცა ისინი უფრო შრომატევადია დიდ დროსა და თანხებს მოითხოვს. გარდა ამისა პაციენტებმა, ვინც გადაიტანა ინსულტი დაგვიდასტურეს, რომ ფოსტით კომუნიკაცია სატელეფონო ზარებზე ნაკლებად ინტრუზიულია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვგეგმავთ გამოვიყენოთ საფოსტო კითხვარი, მაგრამ მონაწილეებთან, რომლებიც არ აბრუნებენ შევსებულ ფორმას, კითხვარი ივსება სატელეფონო ვიზიტის ფარგლებში. კითხვარი შეიძლება შეავსოს მონაწილემ ან რწმუნებულმა. ეს მიდგომა წარმატებით იქნა გამოყენებული ინსულტის მქონე 8000 მონაწილეში HTA დაფინანსებულ კვლევაში, SO2S (Roffe et al., 2017).

იზრდება მოწოდებები ინსულტისა და ICH-ის შემდეგ კოგნიციის შესაფასებლად, რადგან ასეთ პაციენტებს აქვთ დემენციის გაზრდილი რისკი. ვალიდურია შემეცნების გაზომვა ინფორმატორის მეშვეობით და ვაშინგტონის უნივერსიტეტის დემენციის სკრინინგის ინსტრუმენტით AD-8 (Galvin et al., 2007), ეს არის

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

თვითშეფასების საშუალება, რომელიც შეიძლება გამოიყენოს პაციენტმა ან ინფორმატორმა, მაშასადამე, ის შესაფერისია, როგორც ხელმისაწვდომი ინსტრუმენტი ამ დიდ პრაგმატულ კვლევაში. AD-8 თარგმნილია მრავალ ენაზე. (ჯეიმს ე. გალვინი და ცვაიგი)(James E. Galvin & Zweig)

### **თანმხლები და გადამრჩენელი მედიკამენტები და მკურნალობა**

TICH-3-ში ჩართვა ემატება სტანდარტულ მკურნალობას, რომელიც მოიცავს: მაღალი არტერიული წნევის დაქვეითებას, კლინიკურ გაიდლაინების რეკომენდაციების მიხედვით. (Hemphill et al., 2015; ჯანმრთელობისა და ზრუნვის ეროვნული ინსტიტუტი, 2019) ანტიჰიპერტენზიული მკურნალობა ჩატარდება კლინიკური საჭიროების მიხედვით, მკურნალი ექიმის შეხედულებისამებრ, კლინიკური გაიდლაინების შესაბამისად.

### **წამლის /პლაცებოს აღრიცხვიანობა**

თითოეული საიტი ინახავს აღრიცხვიანობის ლოგს/ანგარიშვალდებულების ჟურნალს და პასუხისმგებელია საკვლევი მედიკამენტების შენახვასა და გაცემაზე. თვის ტვინის სკანირების მიერ იცვს ის კონფორმაციის, პაციენტის თანხმობას და რანდომიზაციის შემდგომ, დაინიშნება მკურნალობა. კვლევითი ჯგუფი აკეთებს ჩანაწერს პაციენტზე გაცემული პრეპარატის შესახებ შემთხვევათა მოხსენების ფორმაში CRF . გამოუყენებელი და ნაწილობრივ გამოყენებული მარაგი დაბრუნდება აფთიაქში. ეს ჩაიწერება აფთიაქის კვლევის ლოგში/ჟურნალში..

### **საკვლევი წამლის ჭარბი დოზის მართვა/მენეჯმენტი**

არ არის სპეციფიური ანტიდოტები. საკვლევი პრეპარატი შეყვანილი იქნება ნელი ინტრავენური ინექციით კვალიფიციური საექთნო პერსონალის მიერ, ასე რომ პოტენციური დოზის გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი.

### **გადაუდებელი უსაფრთხოების ზომები**

ტრანექსამინის მჟავა ფართოდ გამოიყენებოდა და გამოიყენება, აქვს დადგენილი უსაფრთხოების პროფილი. გადაუდებელი უსაფრთხოების ზომები მიიღება საჭიროებისამებრ კვლევის მონაწილის დასაცავად, თუ იგი აღმოჩნდება ზიანის რისკის ქვეშ კვლევაში ჩართულობის გამო.

გადაუდებელი უსაფრთხოების ზომები დაუყოვნებლივ ეცნობება MHRA-ს. სპონსორი ან მათი დელეგატი დაურეკავს MHRA კლინიკური კვლევების განყოფილებას და განიხილავს შემთხვევას უსაფრთხოების მეცნიერმუშაკთან. შემდეგ სპონსორი წერილობით აცნობებს შეტყობინებას, ქმედების განხორციელებიდან სამი დღის განმავლობაში.

### **პროტოკოლის დევიაცია და ვიოლაცია**

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

პროტოკოლის დევიაცია/ გადახრა განისაზღვრება, როგორც აგადახვევა ღწერილი პროცედურებიდან. უმნიშვნელო გადახრა განისაზღვრება, როგორც ქმედება ან მოვლენა, რომელიც გავლენას არ ახდენს კვლევის გეგმის მეცნიერულ სიმტკიცეზე ან ადამიანების უფლებებზე, მათ უსაფრთხოებასა ან კეთილდღეობაზე.

პროტოკოლის მცირე გადახრები არ იქნება დაფიქსირებული TICH-3-ში, სისხლდენის დროს TXA-ს გამოყენებასთან დაკავშირებული მონაცემების დიდი მოცულობის გათვალისწინებით.

### **პროტოკოლის ვიოლაცია/დარღვევა**

პროტოკოლის დარღვევა არის დიდი პრაქტიკული ვარიაცია პროტოკოლიდან, მაგალითად, როდესაც მონაწილე დარეგისტრირებულია, მიუხედავად იმისა, რომ არ აკმაყოფილებს ყველა ჩართვისა და გამორიცხვის კრიტერიუმებს (მაგ. თანხმობის არარსებობა, რანდომიზაცია ICH-დან 4,5 საათის შემდეგ), ან როდესაც პროტოკოლის დევიაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მონაწილის უსაფრთხოებაზე, კვლევის ჩატარებაზე ან ინტერპრეტაციაზე.

პროტოკოლის ყველა დარღვევა უნდა ეცნობოს მთავარ მკვლევარს Chief Investigator, ონლაინ ელექტრონული საქმის მოხსენების ფორმის ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით. CI აცნობებს სპონსორს, თუ დარღვევა გავლენას მოახდენს მონაწილის უსაფრთხოებაზე ან ტრიალის მონაცემების მთლიანობაზე. სპონსორი გასცემს რჩევებს შესაბამისი ზომების შესახებ შემთხვევის აღმოსაფხვრელად, რაც შეიძლება მოიცავდეს GCP-ის სერიოზული დარღვევის შესახებ მოხსენებას, სასამართლო ტრიალის შიდა აუდიტს და ტრიალის კომიტეტების კონსულტაციების მოძიებას.

### **ტრიალის შეწყვეტის კრიტერიუმები**

ტრიალი შეიძლება შეწყდეს TSC-ის, სპონსორის ან დამფინანსებლის მიერ, თუ არსებობს აბსოლუტური მტკიცებულება უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, ახალი ინფორმაციის ან ტრიალის მიმდინარეობასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ (მაგ. ცუდი ჩართულობა, რესურსების დაკარგვა). კვლევა შეიძლება შეწყდეს ცალკეულ ცენტრებში დაქირავებისას მიუღებელი პერფორმანსის და/ან პროტოკოლის შეუსრულებლობის გამო.

ნებისმიერი გამოუყენებელი და ნაწილობრივ გამოყენებული წამალი და პლაცებო უნდა დაბრუნდეს ადგილობრივ აფთიაქში.

### **რადიაციის ექსპოზიცია**

#### **დიაგნოსტიკური ან თერაპიული მაიონებელი გამოსხივების/რადიაციის დეტალები**

რეკრუტირებამდელი კომპიუტერული ტომოგრაფია ტარდება მწვავე ინსულტის განვითარებისას როგორც რუტინული კლინიკური კვლევა, მიუხედავად იმისა, გააგრძელებს თუ არა პაციენტი კვლევაში

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

მონაწილეობას. ეს არ ითვლება კვლევასთან დაკავშირებულ ექსპოზიციად, თუმცა რადიოლოგიური მონაცემები შემდგომში გამოიყენება კვლევაში ჩართვის დასაშვებობის დასადგენად (ანუ მწვავე ICH-ის კონფირმაციისთვის).

პაციენტებმა, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევაში, შემდგომში შეიძლება გაიარონ თავის შემდგომი CT სკანირება კლინიკური საჭიროებიდან გამომდინარე (მაგალითად, თუ არსებობს კლინიკური გაუარესება) ან ადგილობრივ კლინიკურ პრაქტიკაზე დაყრდნობით. ეს სკანირება ითვლება მოვლის სტანდარტად (SoC), კვლევის გამო არ იქნება დამატებითი რადიაციის ზემოქმედება.

### **ტრიალის პროცედურები**

როგორც SoC (მოვლის სტანდარტი) ჩატარდება თავის ტვინის კომპიუტერული არაკონტრასტული კვლევა ერთჯერადად.

კვლევის გამო არ იქნება დამატებითი რადიაციის ზემოქმედება.

### **ქსოვილების ტრანსპორტირება და შენახვა**

არარელევანტურია - ამ კვლევაში არ არის საჭირო ქსოვილების შეგროვება ან გამოყენება.

### **ლაბორატორიული ანალიზები**

არარელევანტურია/არ გამოიყენება - ამ კვლევაში არ არის გამოყენებული ლაბორატორიული ანალიზები

## **სტატისტიკა**

### **სტატისტიკური მეთოდები**

სტატისტიკურ ანალიზს შეასრულებს კვლევის სტატისტიკოსი ან მათი დელეგატი(ები) დამოწმებული სტატისტიკური ანალიზის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, როგორცაა Stata ან SAS. ყველა ცვლადი შეჯამდება მათი განაწილების შესაბამისი აღწერილობითი/დესკრიპციული სტატისტიკის გამოყენებით.

კვლევის შედეგების ანალიზი და პრეზენტაცია იქნება CONSORT-ის გაიდლაინების შესაბამისად და სრული სტატისტიკური ანალიზის გეგმა (SAP) შემუშავდება მონაცემთა ბაზის დაბლოკვამდე. კვლევის პირველადი მიზანია დადგინდეს TXA-ს ეფექტურობა პლაცებოსთან მიმართებაში და, როგორც ასეთი, პირველადი შედარებითი ანალიზის ძირითადი მიდგომა იქნება ანალიზი რანდომიზებული სახით, დაკარგული მონაცემების მიკუთვნების გარეშე. სათანადო აქცენტი კეთდება ნდობის ინტერვალზე ჯგუფთა შედარებისთვის. მგრძნობელობა და მეორადი ანალიზები ჩაითვლება პირველადის მხარდამჭერად. ანალოგიურად, მეორადი გამოსავლის ანალიზი ჩაითვლება პირველადი გამოსავლის ანალიზის შედეგების მხარდამჭერად.

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

პირველადი გამოსავლის შუალედური ანალიზები ჩატარდება მხოლოდ მიმხილვისთვის DMC-ის მიერ ასეთი ანალიზების სიხშირე განისაზღვრება DMC-ის მიერ და არ იქნება წინასწარ განსაზღვრული. ისინი გამოიყენებენ ამ და სხვა მტკიცებულებებს, რომლებიც წარმოდგენილია მკურნალი ჯგუფის მიერ მოწოდებულ კონფიდენციალურ ანგარიშებში, სადაც თავმოყრილია მონაცემები რომელიც მომზადებულია კვლევისგან დამოუკიდებელი სტატისტიკოსის მიერ, რათა დადგინდეს, უნდა გაგრძელდეს თუ არა კვლევა. შეჩერების რეკომენდაციები, უსაფრთხოების საკითხებთან ერთად, დაფუძნებული იქნება კომბინაციაზე: „მტკიცებულება გონივრულ ეჭვის მიღმა“ არსებობდა და იმის ალბათობა, რომ შედეგები შეცვლის კლინიკურ პრაქტიკას. ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება წმინდა მათემატიკური, მაგრამ ძლიერ გავლენას მოახდენს პეტოს წესით (Peto et al., 1977), სადაც განსხვავება ზოგადად უნდა იყოს მინიმუმ სამი სტანდარტული შეცდომის სიდიდე. მაგალითები, სადაც განიხილება ტრიალის შეწყვეტა, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგით:

- სიკვდილის ანალიზი ხელს უწყობს კონტროლს (საშიშროებას)  $P < 0.02$  (ორმხრივი)
- სიკვდილის ანალიზი ხელს უწყობს აქტიურს (სარგებელს)  $P < 0.001$  (ორმხრივი).
- mRS-ის გადანაცვლების/ცვლის ანალიზი Shift analysis ხელს უწყობს აქტიურს (სარგებელს)  $P < 0.001$  (ორმხრივი).  $P < 0.001$  მნიშვნელოვნების დონე შეადგენს „მტკიცებულებას გონივრული ეჭვის მიღმა“.
- mRS-ის ცვლის ანალიზი ხელს უწყობს კონტროლს (საშიშროებას)  $P < 0.02$  (ორმხრივი)

### სინჯის სიდიდე და დასაბუთება

ნულოვანი ჰიპოთეზა არის ის, რომ ტრანექსამის მქვა არ ცვლის სიკვდილობას მე-7 დღისთვის მწვავე ICH-ის მქონე მონაწილეებში. თუ ვივარაუდებთ, რომ პლაცებოს ჯგუფში მონაწილეთა 10,31% იღუპება მე-7 დღეს (პროპორცია გამოთვლილია TICH-2 მონაწილეებში, რომელთა ჩართვაც შესაძლებელი იქნებოდა TICH-3), თითო ჯგუფში 2688 მონაწილე საშუალებას მოგვცემდა გამოვლენილიყო 2,57% სხვაობა სიკვდილიანობას შორის პლაცებო და TXA ჯგუფები (ანუ 7.74% სიკვდილიანობა TXA-ზე, OR 0.73), 5%-იანი მნიშვნელობის დონეზე, 2-მხრივ, 90%-იანი სიმძლავრით. ასეთ განსხვავებას პაციენტები და მათი ახლობლები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ, ექიმები თვლიან, რომ ის დამაჯერებელია და შეცვლიდა კლინიკურ პრაქტიკას, როგორც ნაჩვენებია TICH-2-ისა და CRASH-II კვლევის ქვეჯგუფის ანალიზში. ვინაიდან პირველადი გამოსავალი არის სიკვდილი, მოსალოდნელია, რომ შემდგომი დაკვირვებისთვის იქნება მინიმალური დანაკარგი; TICH-2(13)-ში 2325 მონაწილედან არცერთი არ დაკარგულა შემდგომი დაკვირვებისთვის 7 დღის განმავლობაში, ხოლო CRASH-3(15)-ში 12737 მონაწილედან <1% დაკარგეს შემდგომი დაკვირვებისთვის. ამიტომ დაგეგმილია სულ მცირე 5500 მონაწილის ჩართვა, სულ მცირე 2750

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

მკურნალობის თითოეულ ჯგუფში.

ლიტერატურამ გამოიკვლია ნიმუშის ზომის შემცირება, რომელიც შეიძლება მიღწეული იქნას მოდელში კოვარიაციების ჩათვლით/ჩართვით სხვადასხვა გამოსავლებისთვის, შემოთავაზებულია 20% mRS(30) რიგითი ანალიზისთვის, 15% და 44% შორის გადარჩენილების მონაცემებისთვის (31) და 3-დან-46% დიქტომიური გამოსავლებისთვის(32).

ნიმუშის ზომის (სინჯის სიდიდის) კოვარიაციული კორექტირების სიდიდის ირგვლივ გაურკვევლობის გათვალისწინებით, ფორმალური შემცირება არ განხორციელდება. თუმცა, ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს შესამჩნევ განსხვავებებს საბოლოო ნიმუშის ზომით 2688 მონაწილე თითო ჯგუფში, სადაც განხორციელდა კოვარიაციული კორექტირება. ყველა გამოთვლა ითვალისწინებს 10.31% საკონტროლო კოეფიციენტს, 90% სიმძლავრე და 5% მნიშვნელოვნების დონე 2-მხრივ. ჩანს, რომ მიუხედავად იმისა, რომ საჭირო ნიმუშის ზომა განისაზღვრა OR 0.73-ზე დაყრდნობით, როდესაც გამოიყენება კოვარიაციული კორექტირება და ნიმუშის ზომა შენარჩუნებულია ანალიზისთვის 2688/ჯგუფში, შესაძლოა მოსალოდნელი იყოს უფრო მცირე ეფექტის გამოვლენა. მაგალითად, კოვარიაციული კორექტირების გამო ნიმუშის ზომის 20%-ით შემცირება საშუალებას მოგცემთ გამოავლინოთ ეფექტის ზომა OR 0.757.

**ნიმუშის ზომის გამოთვლები განხორციელდა PASS პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით.**

საჭირო სინჯის სიდიდის შემცირება კოვარიაციული კორექტირების შედეგად	% სიკვდილობა საკონტროლო ჯგუფში	% სიკვდილობა TXA ჯგუფში	თვალსაჩინო ეფექტი როცა სინჯის სიდიდე შენარჩუნებულია 2688 რისკის განსხვავება Odds Ratio	
None	10.31%	7.74%	2.57%	<b>0.73</b>
5%	10.31%	7.80%	2.51%	0.736
10%	10.31%	7.87%	2.44%	0.743
15%	10.31%	7.93%	2.38%	0.749
20%	10.31%	8%	2.31%	0.757
25%	10.31%	8.07%	2.24%	0.764
30%	10.31%	8.14%	2.17%	0.771
35%	10.31%	8.21%	2.10%	0.778
40%	10.31%	8.30%	2.01	0.787

საბაზისო მახასიათებლები

რანდომიზებული მონაწილეების მახასიათებლები შედარებული იქნება ორ საკვლევ ჯგუფს შორის საწყის ეტაპზე, შესაბამისი აღწერილობითი სტატისტიკის გამოყენებით.

**ეფექტურობის შეფასებები**

**პირველადი გამოსავალი:** ადრეული სიკვდილი ინტრაცერებრული ჰემორაგიის განვითარებიდან მე-7 დღის TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



ჩათვლით.

პირველადი შედეგის შეფასება განხორციელდება რეგრესიის მოდელების გამოყენებით ბინარული შედეგებისთვის, ძირითადი პროგნოზული ფაქტორების კორექტირებით. მოდელი სრულად იქნება მითითებული SAP-ში. წარმოდგენილი იქნება ეფექტის აბსოლუტური და ფარდობითი საზომები და 95%-იანი ნდობის ინტერვალები. პირველადი გამოსავალი(ები) ასევე იქნება გამოკვლეული წინასწარ განსაზღვრულ ქვეჯგუფებში შესატყვისი ურთიერთქმედების ტერმინების გამოყენებით. ქვეჯგუფები მითითებული იქნება SAP-ში და მინიმუმ მოიცავენ ასაკს, სქესს, სისტოლურ არტერიულ წნევას, HV, GCS, მკურნალობის დაწყებას ( $\leq 2$ ,  $\leq 3$ ,  $> 3$  საათი) და ინტრავენტრიკულურ სისხლდენას (დიახ, არა). ტრიალი მიზნად ისახავს ჯგუფებს შორის საერთო განსხვავებების აღმოსაჩენად და არა ამ ტიპის ურთიერთქმედების დეტექციას, ამიტომ ანალიზები ჩაითვლება როგორც საძიებო.

### მეორადი გამოსავლები

მნიშვნელოვანი წინასწარ განსაზღვრული მეორადი გამოსავალი: ფუნქციური გამოსავალი: დამოკიდებულება შეფასებულია მოდიფიცირებული რანკინის შკალის (mRS)(39) მიერ 180 დღის შემდეგ საფოსტო კითხვარის გამოყენებით (ან ტელეფონით, თუ საფოსტო გაგზავნა შეუძლებელია).

დამატებითი მეორადი გამოსავლები:

სიკვდილი ინტრაცერებრული ჰემორაგიის განვითარებიდან მე-2 დღემდე და მათ შორის.

ცხოვრების ხარისხი (40), EQ-5D-5Lat დღე 180,

კოგნიცია (AD-8)(41) 180 დღეს.

მეორადი შედეგების გაანალიზება მოხდება შესაბამისი (გამოსავლის ტიპისა და განაწილების მიხედვით) რეგრესიის მოდელების გამოყენებით, რომლებიც რეგულირდება წინასწარ განსაზღვრულ ძირითად პროგნოზულ ფაქტორებისთვის. რეგრესიის მოდელები გამოყენებული იქნება ორობითი/ბინარული გამოსავლებისთვის, როგორცაა სიკვდილი მე-2 დღეს, დამოკიდებულება 180 დღეს (იზომება mRS-ის გამოყენებით), გაანალიზებული იქნება ლოგისტიკური რეგრესიის გამოყენებით ძირითადი პროგნოზული ფაქტორებისთვის კორექტირების კორექციით. ამ ანალიზის შედეგები ჩაითვლება პირველადის მხარდამჭერად.

### უსაფრთხოების შეფასება

პირველი 7 დღის განმავლობაში დაფიქსირდება შემდეგი (ან სიკვდილი, თუ უფრო ადრე):

ვენური თრომბოემბოლია

არტერიული ოკლუზიური მოვლენები

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

კრუნჩხვები.

ეს იქნება შეჯამებული შესაბამისი დესკრიპციული/აღწერილობითი სტატისტიკის გამოყენებით იმ მკურნალობის მიხედვით, რომელიც მონაწილემ მიიღო, რანდომიზაციის მიუხედავად. ცალკე შეჯამდება მონაწილეები, რომელთაც არ მიუღიათ რაიმენაირი ინტერვენცია, ჩარევის არასრულყოფილი დოზის შემთხვევაში მონაცემები მიითვლება იმ ჯგუფთან სადაც განხორციელდა ინტერვენცია.

AE არ იქნება შეგროვებული MHRA-ს პროპორციული მიდგომის შესაბამისად საკვლევი მედიკამენტების კლინიკურ კვლევებზე, ტრანექსამის მჟავას აქვს დადგენილი უსაფრთხოების პროფილი: ჩანაწერი 50,000 არაოპერაციულ პაციენტში (Devlin et al., 2018) ასევე იყო უსაფრთხო იყო TICH-2-ში, სადაც TXA-ზე რანდომიზებულ პაციენტებს ჰქონდათ ნაკლები SAE 2, 7 და 90 დღეს. იმის გათვალისწინებით, რომ მონაწილეები კვლევაში ერთვებიან ინტრაცერებრული ჰემორაგიის მწვავე ფაზაში, მოსალოდნელია მნიშვნელობანი რაოდენობის გვერდითი მოვლენების და სერიოზული გვერდითი მოვლენების (AE და SAE) არსებობა, თუმცა ისინი დაკავშირებულია ინსულტთან და არა TXA-სთან. ჩვენ გვჯერა, რომ დიდი რაოდენობით არარელევანტური SAE-ების შეგროვება უარყოფითად გაზრდის საიტების და კვლევითი ჯგუფის დატვირთვას მონაწილეთა უსაფრთხოების გაზრდის გარეშე. აქედან გამომდინარე, აქცენტი კეთდება მოვლენებზე, მაღალი ალბათობით დაკავშირებულია საკვლევ მედიკამენტთან. ამის გათვალისწინებით, ჩვენ არ შევარგოვებთ ყველა SAE-ს - თუმცა ჩვენ ვაგროვებთ მონაცემებს უსაფრთხოების წინასწარ განსაზღვრულ გამოსავლებზე (კრუნჩხვები, თრომბოემბოლია, არტერიული ოკლუზიური მოვლენები და სიკვდილი (პირველადი გამოსავალი)), რომელიც მოხდება პირველი 7 დღის განმავლობაში. ეს დიზაინი შეესაბამება MHRA-ს პროპორციულ მიდგომას საკვლევი სამკურნალო პროდუქტების კლინიკურ კვლევებთან დაკავშირებით, რადგან მიგვაჩნია, რომ TXA წარმოადგენს დაბალი რისკის ინტერვენციას. ეს მიდგომა იქნა მიღებული სხვა მკვლევარების მიერ.

### **პროცედურები დაკარგული, გამოუყენებელი და ყალბი მონაცემებისთვის**

მოსალოდნელია, რომ დაკარგული პირველადი გამოსავლის მონაცემები მინიმალური იქნება და პირველადი ანალიზი გამოიყენებს ყველა ხელმისაწვდომ მონაცემს. დაკარგული მონაცემები არ იქნება მიკუთვნებული.

მეორადი შედეგების ანალიზი ასევე არ გამოიყენებს იმპუტაციის მეთოდს გამოტოვებული მონაცემებისთვის ყველა ძალისხმევა განხორციელდება ყალბი მონაცემების მოძიებაზე და დაკარგული მონაცემების მოსაპოვებლად.

დამატებითი ინფორმაცია შედის SAP-ში.

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიყვანოს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

**განალიზებული პოპულაციების განმარტება**

განზრახვა-რომ უმკურნალო მონაცემთა ნაკრები: ყველა რანდომიზირებული მონაწილე პროტოკოლის მონაცემთა ნაკრების მიხედვით: ყველა მონაწილე განზრახვა -რომ-უმკურნალო პოპულაციაში რომელთაც ითვლება, რომ არა აქვთ პროტოკოლის დიდი დარღვევები, რომელთაც შეუძლიათ ზეგავლენა მოახდინონ კვლევის ამოცანებზე. პროტოკოლის პოპულაცია განისაზღვრება ბრმა გადახედვით მონაცემთა ბაზის დახურვამდე.

უსაფრთხოების მონაცემთა ნაკრები: ყველა რანდომიზირებული მონაწილე.

პირველადი და მეორადი გამოსავლები განალიზებული იქნება მკურნალობის განზრახვის პრინციპის მიხედვით, რანდომიზირებული მონაწილეების ყველა არსებული მონაცემების გამოყენებით და ანალიზდება მკურნალობის განაწილების/ალოკაციის მიხედვით, განურჩევლად მიღებული მკურნალობისა (განზრახვა მკურნალობის მონაცემთა ბაზაში) პირველადი და ძირითადი მეორადი შედეგების მგრძნობელობის ანალიზი შესრულდეს პროტოკოლის მონაცემთა ნაკრების გამოყენებით.

უსაფრთხოების მონაცემები შეჯამდება უსაფრთხოების მონაცემთა ნაკრების გამოყენებით, იმ მკურნალობის მიხედვით რაც ჩაუტარდა მონაწილეს რანდომიზაციის მიუხედავად. ცალკე შეჯამდება მონაწილეები, რომელთაც არ მიუღიათ რაიმენაირი ინტერვენცია , ჩარევის არასრულყოფილი დოზის შემთხვევაში მონაცემები მიითვლება იმ ჯგუფთან სადაც განხორციელდა ინტერვენცია.

დამატებითი დეტალები მოცემულია SAP-ში.

**მიზანშეწონილობის შეფასება (შეჩერება-გაგრძელების გადაწყვეტილება**

**გადაწყვეტილება მთავარ ფაზაზე გადასვლის შესახებ** - რეკომენდაცია შიდა საპილოტე ფაზიდან საცდელი ფაზის მთავარ ფაზაში გადასვლის შესახებ მიიღება TSC-ის მიერ რეკრუტირების დაწყებიდან დაახლოებით 18 თვის შემდეგ. ის დაფუძნებული იქნება უსაფრთხოებაზე (შეფასებულია DMC-ის მიერ) და ინფორმაციაზე რეკრუტირების შესახებ. რეკომენდაცია გადაეცემა HTA-ს რატიფიკაციისთვის.

ვარაუდობენ, რომ არადიდი ბრიტანეთის საიტების მიერ რეკრუტირების დაწყებიდან 6-12 თვეზე მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება.

ცხრილი გვიჩვენებს გადაწყვეტილების მატრიცას, რომელიც გამოიყენება რეკომენდაციის გასაგრძელებლად.

	წითელი	ქარვისფერი	მწვანე
% ზღვარი	<50%	>50-99%	100%
რეკრუტირება	<500	500 -999	1000*
აქტიური საიტები	<43	43-84	85*

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიციეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

სიხშირე/საიტი/თვე	<0.35	0.35-0.64	0.65
მოქმედება	განიხილეთ ტრიალის არსებობისუნარიანობა TSC და HTA	გააგრძელეთ - საჭიროა გარკვეული ქმედებები: TSC შეხვედრა, პროტოკოლის მიმოხილვა, შეფასება და ბარიერების მოხსნა, შეფასება რეკრუტირების გაზრდის შესაძლებლობის აქტიურ საიტებზე, საიტების სელექციის მიმოხილვა და მათი რაოდენობის გაზრდა	გააგრძელეთ

მწვანე კიტერიუმში მოსახვედრად 65% საჭიროა აქტიური საიტებიდან (55) და 65% (650) დიდი ბრიტენეთიდან

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ იქნება წყვეტა რეკრუტირებაში, თუ შეჩერების კრიტერიუმები არ დაკმაყოფილდება.

**ჯანდაცვის ეკონომიკა**

პირველადი ჯანდაცვის ეკონომიკის ანალიზი იწარმოებს NHS და პირადი სოციალური სერვისების ღირებულების პერსპექტივიდან NICE ინსტრუქციის შესაბამისად. მეორადი ანალიზი მიიღებს უფრო მასშტაბურ სოციალურ პერსპექტივას TXA-ს უფრო ფართო ეფექტების დასაფიქსირებლად ჩვეულებრივი მოვლის წინააღმდეგ, მათ შორის გაწეული ხარჯების და პოტენციური გავლენის მომვლელებსა და ოჯახებზე გათვალისწინებით. ეს საშუალებას იძლევა ჯანდაცვის სერვისის პერსპექტივასთან ერთად მოხსენებული იქნას უფრო ფართო სოციალური პერსპექტივა.

**ხარჯები/ღირებულება Cost**

ჯანდაცვის რესურსების მონაცემები შეგროვდება საავადმყოფოში შემოსვლიდან გაწერამდე, რაც მოიცავს ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობას (LOS); ICU ინტენსიურში დაყოვნებას, ნეიროქირურგიულ ინტერვენციას, ანტიჰიპერტენზიული თერაპიას და „ნუ ეცდებით რეანიმაციის ბრძანებებს“ (DNARs).

მიზანმიმართულად შემუშავებული ჯანდაცვის რესურსების გამოყენების თვით-მოხსენებადი კითხვარი გამოყენებული იქნება 180 დღეს, რათა გაირკვეს მონაწილისთვის წინა 3 თვის განმავლობაში ჯანდაცვის რესურსების გამოყენების ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიცით, რომ ეს არ არის იდეალური, ჩვენ გვაქვს ინტენსიური პერიოდი სტაციონარიზაციის ღირებულების შედარებისთვის. 180 ე დღეს ჩვენ პაციენტისგან არ მოვითხოვთ ჩაწერონ 3 თვეზე მეტი ხნის მონაცემები, ვინაიდან ეს იქნება მათთვის ზედმეტი დატვირთვა და თანაც ამ დრომდე პერიოდში პაციენტის მესხიერება არარის იდეალური. ხარჯების შეგროვების ორი ინტენსიური პერიოდი საშუალებას იძლევა ჯანდაცვის ეკონომიკურ ანალიზი ჩატარდეს

TICH 3 პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

ტრანექსამის მჟავაზე ვერსუს სტანდარტული მკურნალობა, ჯგუფებს შორის, თავდაპირველი - სტაციონარში ყოფნის, და 90-დან 180-მდე დღის ხარჯებზე დაყრდნობით. 180-დღიანი კითხვარი შეაგროვებს მონაცემებს მონაწილეთა მკურნალობისა და შემდგომი დაკვირვების ყველა ასპექტზე, მათ შორის სტაციონარული და რეადმისიის, ასევე ამბულატორიული საავადმყოფოს ვიზიტების, მედიკამენტების, რეაბილიტაციისა და პირველადი და საზოგადოებრივი დახმარების გამოყენებაზე ბოლო 3 თვის განმავლობაში. კითხვარს შეიმუშავებს ტრაიალის პაციენტის საკონსულტაციო ჯგუფი და შეეცდება მოიძიოს ყველა შესაბამისი რესურსის შესაძლებლობა, მაგრამ მინიმუმამდე დაიყვანოს ტვირთი მონაწილეებზე. ჯანდაცვის რესურსების გამოყენების კითხვარი (რომელიც წარედგინება გაერთიანებული სამეფოს ჯანდაცვის ეკონომისტთა DiRUM მონაცემთა ბაზას) უზრუნველყოფს ძირითადი შედეგების დაფიქსირებას: TXA-ს ვერსუს სტანდარტული მოვლა. ეს რესურსის მონაცემები შემდეგ შექმნის ერთეულებს, რომლებზედაც ღირებულების მონაცემები (ისეთი წყაროების გამოყენებით, როგორცაა ჯანმრთელობისა და სოციალური ზრუნვის ერთეულის ღირებულება, პერსონალური სოციალური სერვისების კვლევის განყოფილება (PSSRU) ბრიტანეთის ეროვნული ფორმულარის (BNF) და ეროვნული საცნობარო ხარჯები შეიძლება დაერთოს.

### გამოსავალი

ეკონომიკური შეფასების ძირითადი გამოსავლის საზომები იქნება QALY (EQ5D-5l) 180 დღეს და გაწერა. მეორადი ზომები მოიცავს სახლში (ან ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილზე) ყოფნის დროს 180 დღეს საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ განთავსებას.

### ანალიზი

ჩატარდება მთელი რიგი ჯანდაცვის ეკონომიკური ანალიზი.

1. ხარჯების ეფექტურობის შუალედური ანალიზი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პერსპექტივიდან გაწერისას.
2. TXA-ს დანახარჯების ეფექტურობის ანალიზი 180-ე დღეს ჩვეულებრივ მკურნალობასთან მიმართებაში სოციალური პერსპექტივიდან, რომელიც დაფუძნებულია სახლში ყოფნის დღეებზე/გაწერის დანიშნულების ადგილზე.
3. TXA-ის ხარჯების გამოყენების ანალიზი ჩვეულ მოვლასთან შედარებით 180 დღეს სოციალური პერსპექტივიდან.

გამოყენებული იქნება დამატებითი ანალიზი ორ საცდელ ჯგუფს შორის. წმინდა ფულადი სარგებლის ჩარჩო გამოყენებული იქნება იმის შესაფასებლად, არის თუ არა და რამდენად ტრანექსამის მჟავის გამოყენება

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

ჩვეულებრივ მკურნალობასთან/მოვლასთან შედარებით. ინკრემენტული ხარჯების ეფექტურობის კოეფიციენტი (ICER) გამოითვლება, საჭიროების შემთხვევაში, რანდომიზირებიდან 12 თვეში. შეიქმნება დანახარჯების ეფექტურობის მისაღები მრუდები (CEAC), რომლებიც აჩვენებს ეფექტურობის ალბათობას ვერსუს გადახადოს NICE-ის დადგენილი 20,000-£30,000 QALY-ზე. ხარჯების ძირითადი ფაქტორები შესწავლილი იქნება ალბათობის მგრძობელობის ანალიზის გამოყენებით.

## ადვერსიული მოვლენები

### განსაზღვრებები

ადვერსიული მოვლენა წარმოადგენს არასასურველ და გაუმიზნავ ნიშანს, სიმპტომს, სინდრომს ან დაავადებას, რომელიც ვითარდება ან უარესდება კვლევაზე დაკვირვების პერიოდში.

AE მოიცავს:

1. წინმსწრები დაავადების გამწვავება
2. წინმსწრები ეპიზოდური მოვლენის ან მდგომარეობის ინტენსიურობის ან სიხშირის ზრდა
3. მდგომარეობა, რომელიც დგინდება ან დიაგნოსტირდება სამედიცინო პროდუქტის გამოყენების შემდეგ მიუხედავად იმისა, არსებობდა თუ არა ის კვლევის დაწყებამდე
4. ბაზისში არსებული განგრძობადი პერსისტენტული დაავადება ან სიმპტომები, რომელნიც უარესდებიან კვლევის დაწყების შემდგომ.

ტრანექსამის მჟავას ცნობილი გვერდითი ეფექტები: გასტრო-ინტესტინური დარღვევები (გულისრევა, ღებინება, დიარეა) შეიძლება მოხდეს, მაგრამ გაქრება დოზის შემცირებისას. იშვიათად, სწრაფი ინტრავენური ინფუზიის შემდეგ დაფიქსირდა ჰიპოტენზია. ფერადი მხედველობის დარღვევის იშვიათი შემთხვევებია აღწერილი ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ. ასევე უიშვიათესად გვხვდება თრომბოემბოლიური მოვლენები და კანის ალერგიული რეაქციები.

ტრანექსამის მჟავა ეწინააღმდეგება ფიბრინოლიზური პრეპარატების თრომბოლიზურ ეფექტს, მაგრამ ესენი ისედაც უკუნაჩვენებია ჰემორაგიული ინსულტის მქონე პაციენტებში.

უსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის მითითება: განყოფილება 4.8 SmPC TXA-სთვის, ბოლო გადახედვის თარიღი 2019 წლის 11 აპრილი, იმოქმედებს როგორც უსაფრთხოების საცნობარო ინფორმაცია.

AE არ უნდა მოიცავდეს:

1. სამედიცინო ან ქირურგიულ პროცედურას (მაგ. ქირურგია, ენდოსკოპია, კბილების ექსტრაქცია, ტრანსფუზიები); მაგრამ მდგომარეობა, რომელსაც მივყავართ აღნიშნულთან არის AE.

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტინგემის უნივერსიტეტის მხრიდან.

2. წინმსწრები დაავადება ან მდგომარეობანი, რომელიც არსებობს ან დგინდება კვლევის დაწყებისას, რომელიც არ უარესდება.
3. სიტუაციები, სადაც არასასურველი სამედიცინო შემთხვევა არ მომხდარა (ჰოსპიტალიზაცია კოსმეტიკური არჩევითი ქირურგიისათვის, სოციალური და/ან ხელსაყრელი მიღება).
4. დაავადება ან დარღვევა, რომელიც კვლევის პროცესშია ან და ნიშანი/სიმპტომი, რომელიც დაავადებასთან ან დარღვევასთანაა ასოცირებული თუ იმაზე უფრო მწვავედ არ მიმდინარეობს ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო მონაწილის მდგომარეობიდან გამომდინარე.
5. კონკურენტული წამლის დოზის გადაჭარბება რაიმე ნიშნების ან სიმპტომების გარეშე.

**სერიოზული ადვერსიული მოვლენა (SAE)** არის ნებისმიერი გვერდითი მოვლენა, რომელიც ვითარდება კვლევით განსაზღვრული პროცედურების შედეგად, IMP ან პლაცებოს მიღების შემდგომ განაპირობებს მოცემული შედეგებიდან რომელიმეს:

1. სიკვდილი
2. სიცოცხლისთვის სახიფათო ადვერსიული მოვლენა
3. პაციენტის ჰოსპიტალიზაცია ან არსებული ჰოსპიტალიზაციის გახანგრძლივება
4. ინვალიდობა/უძლურება
5. ანომალია, პაციენტის მემკვიდრეებში

მნიშვნელოვანი სამედიცინო შემთხვევაში, რომელსაც შიძლება არ მოჰყვეს სიკვდილი, იყოს სიცოცხლისთვის საშიში, ან მოითხოვდეს ჰოსპიტალიზაციას შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც სერიოზული ადვერსიული მოვლენა, როდესაც შესაბამისი სამედიცინო განსჯის/შეფასების საფუძველზე მათ შესაძლოა რისკის ქვეშ დააყენონ პაციენტი ან მონაწილე და შესაძლოა მოითხოვონ სამედიცინო ან ქირურგიული ჩარევა, რომ თავიდან აიცილონ ამ განსაზღვრებაში ჩამოთვლილი ერთ-ერთი გამოსავალი.

ადგილობრივი მკვლევარის აფასებს ყველა გვერდითი მოვლენის სერიოზულობას, მოსალოდნელობას და მიზეზობრიობას.

განასხვავებენ სერიოზულ და მძიმე ადვერსიულ შემთხვევებს. სიმძიმე/სიმწვავე არის ინტენსივობის საზომი, ხოლო სერიოზულობა განისაზღვრება ზემოთ მოცემული კრიტერიუმების გამოყენებით. აქედან გამომდინარე, მძიმე AE არ არის აუცილებლად სერიოზული.

## მიზეზობრიობა

**დაუკავშირებელი ან არასავარაუდო:** კლინიკური მოვლენა, მათ შორის ლაბორატორიული ტესტის ანომალია, დროით კავშირში საცდელ მკურნალობასთან, რაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ხდის შეუთავსებელს, ან როცა სხვა პრეპარატები, ქიმიკატები ან დაავადება იძლევა დამაჯერებელ ახსნას. ეს ჩაითვლება როგორც „დაუკავშირებელი“ შეტყობინების თვალსაზრისით.

**შესაძლო:** კლინიკური მოვლენა, მათ შორის ლაბორატორიული ტესტის ანომალია, დროით კავშირში საცდელ მკურნალობასთან, რაც მიზეზობრივ კავშირს გონივრულად შესაძლებელს ხდის, მაგრამ რომელიც ასევე შეიძლება აიხსნას სხვა წამლებით, ქიმიკატებით ან თანმხლები დაავადებით. ეს ჩაითვლება როგორც „დაკავშირებული“ შეტყობინების თვალსაზრისით.

**სავარაუდო:** კლინიკური მოვლენა, მათ შორის ლაბორატორიული ტესტის ანომალია, დროით კავშირში საცდელ მკურნალობასთან, რაც მიზეზ-შედეგობრივ კავშირს რაც მიზეზობრივ კავშირს გონივრულად შესაძლებელს ხდის და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოწვეული იყოს სხვა მედიკამენტებით, ქიმიკატებით ან თანმხლები დაავადებებით. ეს ჩაითვლება როგორც „დაკავშირებული“ შეტყობინების თვალსაზრისით.

**განსაზღვრული/დეფინიტიური:** კლინიკური მოვლენა, მათ შორის ლაბორატორიული ტესტის ანომალია, დროით კავშირში საცდელ მკურნალობასთან, რაც მიზეზობრივ კავშირს გონივრულად შესაძლებელს ხდის და რომელიც ნამდვილად არ შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვა მიზეზებს. ეს ჩაითვლება როგორც „დაკავშირებული“ შეტყობინების თვალსაზრისით.

AE, რომლის მიზეზობრივი კავშირი საკვლევ IMP-სთან შეფასდა მთავარი მკვლევარის მიერ, როგორც „შესაძლებელი“, „სავარაუდო“ ან „განსაზღვრული“ წარმოადგენს წამლის ადვერსიულ რეაქციას.

ზემოთმოყვანილ კრიტერიუმთან კავშირში, სამედიცინო და მეცნიერული მსჯელობის გამოყენებით უნდა გადაწყდეს შესატყვისია თუ არა სწრაფი მოხსენება ამ სიტუაციაში.

## ადვერსიული რეაქციების და SUSARs მოხსენება

მონაწილეებს მოეთხოვებათ დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ საკვლევ საიტს რაიმე სერიოზული გვერდითი რეაქციის ან SUSAR-ის შემთხვევაში. ყველა გვერდითი რეაქცია რეგისტრირდება და მკაცრად კონტროლდება/მონიტორირდება მის რეზოლუციამდე/გაქრობამდე, სტაბილიზაციამდე ან სანამ არ დადასტურდება, რომ საკვლევ მედიკამენტი ან მკურნალობა არ არის მისი გამომწვევი მიზეზი. მთავარ მკვლევარს (რომელსაც დელეგირებული აქვს პასუხისმგებლობა სპონსორის მიერ) დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს (24 საათის განმავლობაში) ნებისმიერი სერიოზული გვერდითი მოვლენის შესახებ და უნდა განსაზღვროს სერიოზულობა და მიზეზობრიობა ნებისმიერ მკურნალ ექიმთან ერთად.

TICH 3პროტოკოლი საბოლოო ვერსია 1.0 03.11.2021

ეს პროტოკოლი კონფიდენციალურია და წარმოადგენს ნოტინჰემის უნივერსიტეტის საკუთრებას. მისი არცერთი ნაწილი არ უნდა გადაიცეს, რეპროდუცირდეს, გამოქვეყნდეს, ან გამოყენებულ იქნას სხვა პირების მიერ წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე ნოტონგემის უნივერსიტეტის მხრიდან.



კვლევის მონაწილეში ან მის პარტნიორში ორსულობის დადგომის შემთხვევაში, მონიტორინგი უნდა ჩატარდეს ორსულობის დროს და მშობიარობის შემდეგ, რათა დადგინდეს კვლევასთან დაკავშირებული გვერდითი მოვლენები დედასა და შთამომავლობაში. სადაც ის არის კვლევის მონაწილის პარტნიორი, ამ დაკვირვებაზე თანხმობა მიიღება როგორც პარტნიორისგან, ასევე მისი ექიმისგან. ორსულობაზე დაკვირვებას არ ვაწარმოებთ, რადგან ტრანექსამინის მქადავს ხანმოკლე ნახევრადდაშლის პერიოდი და და თვითონ ხშირად გამოიყენება მეანობაში.

ყველა სერიოზული გვერდითი მოვლენა ჩაიწერება და ეცნობება MHRA-ს და REC-ს, როგორც განვითარების უსაფრთხოების განახლების ყოველწლიური ანგარიშების ნაწილი. SUSAR-ები მოხსენებული იქნება კანონით დადგენილი ვადების ფარგლებში MHRA-ს და REC-ს, როგორც ეს ქვემოთ არის ნაჩვენები. სპონსორი საბოლოო ჯამში პასუხისმგებელია ადვერსიული მოვლენის მოხსენებაზე.

### **გადაუდებელი უსაფრთხოების ზომები**

გადაუდებელი უსაფრთხოების ღონისძიება არის პროცედურა, რომელიც მიიღება კვლევის მონაწილის დასაცავად, როდესაც იგი იდენტიფიცირებულია, როგორც ზიანის რისკის ქვეშ მყოფი კვლევის პროექტში მონაწილეობასთან დაკავშირებით და საჭიროა გადაუდებელი ქმედება, რომელიც გადაუხვევს დამტკიცებულ პროტოკოლს, მოვლენის სამართავად და მონაწილის დასაცავად.

ნებისმიერი გადაუდებელი უსაფრთხოების ზომა, რომელიც დაკავშირებულია საკვლევი სამკურნალო პროდუქტის კლინიკურ კვლევასთან (CTIMP) დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს MHRA-ს. მათი რეკონდაციით რომ სპონსორი რეკავს MHRA კლინიკური კვლევის განყოფილებაში და განიხილავს შემთხვევას უსაფრთხოების მეცნიერმუშაკთან, ამის შემდეგ გზავნის წერილობით შეტყობინებას, ქმედების განხორციელებიდან 3 დღის ვადაში. შეტყობინება უნდა იყოს არსებითი შესწორების სახით და უნდა აღწერდეს მოვლენას, გატარებულ ზომებს და მიღებული ზომების დასაბუთებას.

საექვო მოულოდნელი სერიოზული ადვერსიული რეაქცია(ები) SUSARs

სერიოზული გვერდითი მოვლენა, რომელიც ან მოულოდნელად იწყება (ანაფილაქსია), მოულოდნელი სიმძიმითა და სერიოზულობით, ან არ არის IMP-ის ცნობილი გვერდითი ეფექტი და დაკავშირებულია ან სავარაუდოდ დაკავშირებულია IMP -სთან, კლასიფიცირდება, როგორც საექვო მოულოდნელი სერიოზული გვერდითი რეაქცია და მოითხოვს დაჩქარებით/დაწვრილებით მოხსენებას კლინიკური კვლევების რეგულაციების მიხედვით.

ყველა სერიოზული გვერდითი მოვლენა, რომელიც აკმაყოფილებს ან სავარაუდოდ აკმაყოფილებს ამ

კრიტერიუმებს, განიხილება, როგორც SUSAR, სანამ სხვაგვარად არ დადგინდება.

მოვლენის შესახებ დაუყოვნებლივ (24 საათის განმავლობაში) უნდა ეცნობოს მთავარ მკვლევარს, რომელიც:

- აფასებს მოვლენის სერიოზულობას, მოსალოდნელობას და კვლევის IMP-თან კავშირზე
- ახორციელებს შესაბამის სამედიცინო ქმედებას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ტრიალის შეჩერებას და აცნობებს სპონსორს ასეთი ქმედების შესახებ
- თუ მოვლენა ჩაითვლება SUSAR-ად, შვიდი დღის განმავლობაში უნდა შეიტანოს საჭირო მონაცემები MHRA-ს eSUSAR ვებსაიტზე.
- აცნობებს REC-ს NRES-ის ვებ-გვერდზე მოხსენებითი ფორმის გამოყენებით შემთხვევის განვითარების შეტყობიდან 7 დღის განმავლობაში
